საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი. 2019 წ. №195 (8860) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„ქართული ოცნება:

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ჩვენი ისტორია, გვახსოვდეს პირველი ოქტომბრის გამარჯვების ფასი!

შვიდი წელი გავიდა 2012 წლის პირველი ოქტომბრის ისტორიული მოვლენიდან.

ამ დღეს ბიძინა ივანიშვილისა და ქართველი ხალხის კოალიციამ არჩევნების გზით გაიმარჯვა ძალადობრივ რეჟიმზე.

ქვეყანას წლები დასჭირდა, რომ წარსულისთვის ჩაებარებინა ძალადობაზე, შიშზე და წამებაზე დაფუძნებული მძიმე მემკვიდრეობა.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ჩვენი ისტორია, გვახსოვდეს პირველი ოქტომბრის გამარჯვების ფასი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, თუ რა ბოროტებასთან გვქონდა საქმე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სახით და რა სისასტიკეზე გავიმარჯვეთ ყველამ ერთად.

უკვე შვიდი წელია, ქართველი ხალხი, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ყოველ არჩევნებზე ადასტურებს პირველი ოქტომბრის ღირებულებების ერთგულებას და მთელ მსოფლიოს უდასტურებს, რომ ძალადობრივი რეჟიმი, ჩვენი ქვეყნის სათავეში ვეღარასდროს დაბრუნდება, ქართველი საზოგადოება რევანშს არ დაუშვებს.

„ქართული ოცნება“ აკეთებს და გააკეთებს ყველაფერს, რომ ქვეყანაში შენარჩუნდეს მშვიდობა, სტაბილურობა, პროგრესი და სწრაფვა კეთილდღეობისკენ.

კონსტიტუციური რეფორმა, სასამართლო რეფორმა, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმა, მედიის, ბიზნესის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისუფლება, დემოკრატიის, საჯაროობის, მართვის გამჭვირვალობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია – განვლილი შვიდი წელი გაჯერებული იყო დიდი საქმეებით, გამარჯვებებით და მიღწევებით.

ეს ის შედეგებია, რომელიც მიღწეულ იქნა დესტრუქციული ძალების ქმედებების და მათი მედიაპროპაგანდის ფონზე. იმ ფონზე, როდესაც რევანშისტული ძალები ამ მიღწევებს უპირისპირებდნენ სიცრუის ტირაჟირებას, რეალობის მოდელირებას და შვიდი წლის მანძილზე ცდილობდნენ სიკეთის – ბოროტებად, თეთრის შავად წარმოჩენას.

დღეს მიღწეულია დემოკრატიის მაღალი სტანდარტი და ამის კიდევ ერთი დასტურია მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას ისახავს მიზნად. არჩევნების გამჭვირვალობა და სამართლიანობა „ქართული ოცნების“ მიერ დამკვიდრებულ ტრადიციად იქცა ქართული დემოკრატიისთვის. მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდება და ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოავლენს უზენაეს ნებას – ვის ანდობს ქვეყნის მართვას.

ერთად განვლილი შვიდი წელი ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც თანმიმდევრულ, მშვიდობიან და ადამიანზე ორიენტირებულ პასუხისმგებლიან პოლიტიკას აწარმოებს და მას შესწევს ძალა, ქართველ ხალხთან ერთად დაძლიოს ყველა ის გამოწვევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას.

ჩვენ ერთად ყოველთვის გავიმარჯვებთ და ქვეყანას აუცილებლად დავაყენებთ შეუქცევადი განვითარების რელსებზე!

მაიკ პომპეო:

ველოდებით გიორგი გახარიასთან თანამშრომლობას



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო გიორგი გახარიას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას ულოცავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, სახელმწიფო მდივანი პომპეო მილოცვაში ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას.

„ველოდებით თქვენთან თანამშრომლობას აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოკრატია და მმართველობა, ეკონომიკა და სავაჭრო თანამშრომლობა, თავდაცვა და უსაფრთხოება, ასევე ადამიანთა შორის კონტაქტები და კულტურული გამოცდილების გაზიარება. ამერიკის შეერთებული შტატები ადასტურებს ურყევ მხარდაჭერას რუსული აგრესიის საფრთხის წინაშე მდგარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. აშშ ერთგულია 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისა, რომელიც კიდევ ერთხელ დადასტურდა 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე და რომლის თანახმად, საქართველო გახდება ნატოს წევრი“, – ნათქვამია მაიკ პომპეოს მილოცვაში.

ეს უნდა იცოდეთ!



რა თანხის ნარმოდგენას ითხოვს შენგელის ზონის სხვადასხვა ქვეყანა

8

ხელისუფლებას 16 000 ავტომობილი ეკუთვნის, რომელთა შენახვა 128 მილიონი დება

6

მესხეთის მუხლჩაუხრელი მეცხოვნე



5

მერაბ ბერიძე – 70

ბიძინა ივანიშვილი აჭარის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე რეგიონში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

შეხვედრას პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე, რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე, პარლამენტის ვიცე სპიკერი, პოლიტსაბჭოს წევრი ილია ნაკაშიძე, რეგიონულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარი, აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრები, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და პარტიის აქტივი ესწრებოდნენ.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ცენტრალური ოფისიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი გია ბენაშვილი და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თედო ისაკაძე. პარტიის თავმჯდომარე უკვე შეხვდა გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონის საოლქო ორგანიზაციებს. შეხვედრები პარტიის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გრძელდება.

<u>გიორგი გახარია:</u> ჩვენს გასაკეთებელს ჩვენ მაგივრად არავინ გააკეთებს!

საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ურთულესი, უმწვავესი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს, მოაგვაროს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანისა და რუსეთისა საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შეხვედრის საკითხზე კომენტირებისას აღნიშნა.

„ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი რამ – ვამბობ, რომ ჩვენ ამ მიმართულებით ყველა ნაბიჯს გადავდგამთ, აბსოლუტურად პრაგმატულად, ცივი გონებით, სრულ სინქრონში ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებს. ჩვენი სათქმელი ყოველთვის იქნება ჩვენი სათქმელი და ის, სადაც შესაძლებელია გარკვეული პროგრესის მიღწევა, დაძაბულობის მოხსნა, რა თქმა უნდა, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ქვეყნის ინტერესების სრული დაცვით, სრულ სინქრონში ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, მაგრამ იმის გააზრებით, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს, ჩვენს გასაკეთებელს, ჩვენს მაგივრად არავინ გააკეთებს. მაგალითად პოზიტიური ცვლილება შეიძლება იყოს ფრენების აღდგენა, რასაც მე მივესალმები“, – განაცხადა გიორგი გახარაიამ.

ჩვენს ეკონომიკას საკმაოდ სერიოზული გამოწვევები აქვს!

დღეს ჩვენს ეკონომიკას საკმაოდ სერიოზული გამოწვევები აქვს და ამ პირობებში ერთმნიშვნელოვნად სწორი, ობიექტური შეფასების მიცემა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ეკონომიკის ექსპერტებთან შეხვედრისას განაცხადა. პრემიერ-მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია, ამ პროცესში ჩართული იყოს პროფესიული საზოგადოება და ამ შეხვედრით მთავრობა ადასტურებს, რომ მზად არის მწვავე, თუმცა ობიექტური დისკუსიისთვის.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და ხაზი გაუსვა, რომ საფინანსო დოკუმენტი განმსჭვალულია სოციალური პასუხისმგებლობით და დაფუძნებულია ფისკალურ დისციპლინაზე.

„სულ რამდენიმე დღის წინ მთავრობამ დაასრულა მუშაობა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე. საკმაოდ საინტერესო ბიუჯეტი გამოვიდა, დაბალანსებული. ჩვენ მოვახერხეთ, მიუხედავად სოციალურ ნაწილში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით გარკვეული ვალდებულებების ზრდისა, შეგვენარჩუნებინა ფისკალური დისციპლინაც და კაპიტალური ხარჯებიც. მიდგომა ძალიან მარტივია, გვესმის, რომ კაპიტალური ხარჯები დღეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

<u>ადა მარშანია:</u> გიგა ბოკერია მკვლელი, მწამებელი და უნამუსოა!

ოპოზიციონერი დეპუტატი ადა მარშანია „ევროპული საქართველოს“ წევრ გიგა ბოკერიას დაუპირისპირდა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ადა მარშანიას პროტესტი „მუხროვანის საქმეზე“ ირაკლი სესიაშვილსა და გიგა ბოკერიას შორის კამათმა გამოიწვია. „ვინ ხარ, შენ? შენ ხარ უნამუსო ადამიანი. მკვლელების დედოფალი. მკვლელი და მწამებელი ხარ. შენ ხარ უნამუსო ბოკერია“, – მიმართა მარშანიამ ბოკერიას.

თავის მხრივ, ბოკერიამ აღნიშნა, „უჭირს იმის ყურება, რომ დარბაზში პუტინის ხალხი ზის, მაგრამ ამას ეგუება“. ბოკერიას რეპლიკის შემდეგ, ადა მარშანიამ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს მიმართა და მათ „ლაჩრები“ და „მოღალატეები“ უწოდა.

„თქვენ ხართ ლაჩრები და მოღალატეები. ქართველ ხალხს უღალატეთ. მე ამათ ვებრძოდი და ახლაც ვებრძვი. ეს უნამუსო ხალხი თავზე დაგვასვით. ბოკერია, სად არის თქვენი ამომრჩეველი? მათ ვაყენებ შეურაცხყოფას, თქვენ ხმა რომ მოგცათ“, – მიმართა უმრავლესობასა და ბოკერიას მარშანიამ. ბოკერია-მარშანიას დაპირისპირებას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თინა ბოკუჩავა და რომან გოცირიძე გამოეხმაურნენ. გოცირიძემ აღნიშნა, რომ მარშანიას მიერ წარმოთქმული ყოველი მეორე სიტყვა მართალია, ხოლო ბოკუჩავამ თქვა, რომ „ეს არის ბიძინა ივანიშვილის რჩეული ოპოზიცია“.

<u>ნუკრი ქანთარია:</u> 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ ბაცილები დარჩა, თუმცა რეჟიმი გასტუმრებულია



ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

„ამ დღეს, პირველ ოქტომბერს, 2012 წელს, ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით და ქართველი ხალხის, საქართველოს მოქალაქეების ძალისხმევით ეპოქალური ცვლილება მოხდა, მშვიდობიანად შეიცვალა რეჟიმი. მართალია, ბაცილები დარჩა და ამ ბაცილებს ვხედავთ დღესაც, მაგრამ რეჟიმი ძირითადად გასტუმრებულია და ყოველი მოქალაქე, პიროვნება განთავისუფლდა, მას შეუძლია დღეს, ყოველგვარი კრიტიკული აზრის შემდეგ შვიდობიანად წავიდეს სახლში. ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი, ბევრი რამეც, დიდი იმედი მაქვს, რომ გაკეთდება მომავალში. ბუნებრივია, რომ მოვა ახალი ხალხი, თაობა მიდის, თაობა მოდის, ძირითადად სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული, მაგრამ ეს დღე, როგორც საქართველოს მოქალაქეების ენერგიის გაერთიანების დღე, ვფიქრობ, ყოველთვის დარჩება საქართველოს ისტორიაში“, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

რუსეთის საწინააღმდეგო ერთობლივი განცხადება

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს, უკრაინის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის დელეგაციებმა ერთობლივი განცხადება მოამზადეს. ამის შესახებ ინფორმაციას ასამბლეაში უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელი ელიზავეტა იასკო ავრცელებს.

როგორც უკრაინელი დეპუტატი აღნიშნავს, ხუთი ქვეყნის დელეგაციები შეთანხმდნენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი ჯგუფის „ბალტიკ პლიუსის“ შექმნაზე. აღნიშნული

ჯგუფის მიზანია ყირიმის ანექსიის პოლიტიკის არაღიარება, რუსეთის მიერ ყირიმის, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის, საქართველოსა და მოლდოვის ოკუპაციის დაგმობა. იასკოს განცხადებით, ჯგუფის მორიგი შეხვედრა კიევში გაიმართება.

„ევროსაბჭოს 70-ე წლისთავზე, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ინსტიტუტის სტანდარტები და ღირებულებები სერიოზული საფრთხის წინაშეა, საპარლამენტო ასამბლეის ავტორიტეტი კი შესუსტდა“, – აღნიშნულია ხუთი ქვეყნის დელეგაციების ერთობლივ განცხადებაში. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ 70 წლის განმავლობაში ევროსაბჭომ დაიცვა მილიონობით ადამიანის უფლებები და მტკიცედ იცავდა იმ ღირებულებებს, რომლებისთვისაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა.

„სამწუხაროდ, 2019 წლის ივნისი სხვა ერის დაწყებით აღინიშნა. ზაფხულის სესიაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც უპირობოდ აღუდგინა რუსეთის დელეგაციას ხმის უფლება და სხვა პროცედურული უფლებები. ამის გაკეთებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თვალი დახუჭა ადამიანის უფლებების დარღვევებზე, გატაცებებზე, ტერიტორიების უკანონო ოკუპაციასა და ანექსიაზე, წევრი ქვეყნების მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებაზე და ომზე, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ამ დრომდე აწარმოებს თავისი მეზობლების წინააღმდეგ“, – ნათქვამია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს, უკრაინის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის ერთობლივ განცხადებაში. საქართველოს, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების დელეგაციები 30 სექტემბერს პროტესტის ნიშნად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შემოდგომის სესიის გახსნას არ დაესწრნენ.

მაია ცქიტიშვილი: ფოთში ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა არის ქართულ-ამერიკული ბიზნესის გაფართოების თვალსაჩინო მაგალითი

ფოთში ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ქართულ-ამერიკული ბიზნესის გაფართოების თვალსაჩინო მაგალითია, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ფოთში გუშინ განაცხადა, სადაც „პეის ტერმინალსის“ ტერიტორიაზე სიმბოლური კაფსულის ჩადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის პროექტს ქართულ-ამერიკული კომპანია „პეის ჯგუფი“ განახორციელებს, რომელიც რეგიონში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა.

„მინდა, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. პირველ რიგში კი, ვულოცავ ქართულ-ამერიკულ კომპანია „პეის ჯგუფს“. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი ქართულ-ამერიკული ბიზნესის გაფართოების და სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ს მთავრობის კიდევ ერთი დიდი ინვესტიცია ჩვენს ქვეყანაში. დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური თუ ეკონომიკური გამოწვევების წინაშეა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პარტნიორების, მათი მთავრობის მხარდაჭერა და დახმარება. მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ინვესტიციები ჩვენი ქართული ბიზნესისთვის. მოგეხსენებათ, რომ საქართველო რეგიონის სატრანსპორტო და ეკონომიკური დერეფანია და ეს არის ჩვენი ისტორიული ფუნქცია, ჩვენი ვართ საშუალება, ყველაზე მოკლე კავშირი დაამყარონ ევროპისა და აზიის ქვეყნებმა და, რა თქმა უნდა, ჩვენ ვცდილობთ და მაქსიმალური ძალისხმევა გვაქვს მიმართული საქართველოს მთავრობას, რათა ჩვენი ფუნქცია, ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობა და ჩვენი პოტენციალი მაქსიმალურად ავითვისოთ“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

მისი თქმით, ფოთის ნავსადგურის ისტორიას დღეს ქართულ-ამერიკული კომპანია „პეის ჯგუფი“ ამდიდრებს, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს წარმატებული ბიზნესის მაგალითი.

„პეის ჯგუფი“ წლების განმავლობაში ახერხებს არა მხოლოდ არსებული ტვირთების შენარჩუნებას, არამედ თანამედროვე საზღვაო და საპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, ახალი ტვირთების მოზიდვასაც. მინდა, მივულოცო როგორც „პეის ჯგუფს“, ასევე „ოპიკს“ ნ-წლიანი მოლაპარაკების შედეგის ასეთი სახით, წარმატებულად დასრულება და ის ფაქტი, რომ საინვესტიციო კორპორაცია და „პეის ჯგუფი“ 2014 წლიდან მუშაობენ ქართულ-ამერიკული ბიზნესის განვითარების პროექტზე, ნიშნავს იმას, რომ პროექტი აუცილებლად წარმატებული იქნება და ეს წარმატება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ „პეის ჯგუფის“ წარმატება. ბუნებრივია, ჩვენთვის ეს არის საშუალება, ჩვენი ქვეყნის პოტენციალის გამოყენების, ეს არის საშუალება, მოხდეს რეგიონის განვითარება და რა თქმა უნდა, ეს არის საშუალება, დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნას“, — განაცხადა ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა. პროექტი აშშ-ის მთავრობის კერძო საინვესტიციო კორპორაციამ (OPIC) 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით დააფინანსა. აღსანიშნავია, რომ თავისი სიდიდიდან და პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ეს არის „ოპიკის“ მიერ საქართველოსა და მთელ კავკასიის რეგიონში საინვესტიციო პროექტებზე განხორციელებული ყველაზე დიდი დაფინანსება.

ახალი პროექტი 500 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს. ახალი საპორტო ინფრასტრუქტურა განთავსდება 25 ჰა მიწის ფართობზე, მშენებლობის ფარგლებში აკვატორიის დაღრმავების შედეგად შესაძლებელი იქნება 60 ათას ტონამდე წყალწყვის გემების მიღება. აღნიშნული ტვირთბრუნვის ხუთ მილიონ ტონამდე გაზრდის შესაძლებლობას მისცემს. პროექტის ღირებულებაა 120 მლნ. აშშ დოლარი. მისი პირველი ფაზის ღირებულება 93 მლნ დოლარს შეადგენს, საიდანაც 50 მლნ აშშ დოლარი „ოპიკის“ ინვესტიციაა.

მადლენ ოლბრაიტი: ეს წაადგება არა მარტო ფოთს...

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და ALBRIGHT STONEBRIDGE GROUP-ის ხელმძღვანელი მადლენ ოლბრაიტი ფოთის პორტის გაფართოების პროექტის დაწყებას წერილით გამოეხმაურა. ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

ოლბრაიტი განცხადებაში აღნიშნავს, რომ ეს პროექტი იმის მანიშნებელია, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს ერთად მუშაობის პირობებში.

„მე განსაკუთრებით მახარებს შეერთებული შტატების მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა ამ პროექტისთვის, მათ შორის, OPIC-ის 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია“, — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა. მისი შეფასებით, ფოთი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს და მისი გაფართოება დაეხმარება ამ ქალაქს მეტი სარგებლის მიღებაში.

„ეს წაადგება არამარტო ფოთს, არამედ საქართველოს და მთელი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას“, — განაცხადა მადლენ ოლბრაიტმა.

კობა გვენეტაძე: ეროვნულმა ბანკმა სათანადო ზომების მიღება დაიწყო

ვინაიდან ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ინფლაციასთან ბრძოლაა, ეროვნულმა ბანკმა სათანადო ზომების მიღება დაიწყო, — ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ლარის კურსთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხისას განაცხადა.

„ლარის ბოლოდროინდელმა გაუფასურებამ დაწოლა მოახდინა ინფლაციაზე, ვინაიდან ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ინფლაციასთან ბრძოლაა, აქედან გამომდინარე ეროვნულმა ბანკმა სათანადო ზომების მიღება დაიწყო. ჩვენ ბოლო ორი მონეტარული კომიტეტის შემდეგ გავამკაცრეთ საკრედიტო პოლიტიკა და 0.5 პროცენტით ავწიეთ რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, ამავე დროს განვახორციელეთ ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება უცხოურ ვალუტაში სარეზერვო ქონების ხუთი პროცენტით შემცირების შესახებ, ამავდროულად, უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მიმართულებით გარკვეული შეღავათი მიეცემათ კომერციულ ბანკებს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 700 მილიონი დოლარის დამატებითი რესურსი, უცხოური ვალუტის რესურსი იქნება შესაძლებელი გასცენ კომერციულმა ბანკებმა სესხებად და ასევე საპროცენტო განაკვეთი ამ უცხოური ვალუტის სესხებზე შემცირდება“, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყოს გაცვლითი კურსის დინამიკის შეცვლას.

ამასთან, კობა გვენეტაძის თქმით, ქვეყანა კვლავ „ლარიზაციის ერთგული“ რჩება.

„ლარიზაცია შეფასებულია წევრი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა და ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების გაზრდა. ფიზიკურ პირებს აქვთ პრობლემა, მოგეხსენებათ, რომ ისინი რთულად უმკლავდებიან ლარის გაუფასურების პერიოდს და დაახლოებით 16 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული ფიზიკური სესხების ლარიზაცია და ეს ნიშნავს, რომ იმ მსესხებლების რაოდენობა, რომელიც ახლა რთულ სიტუაციაში ჩავარდებოდა, 16 პროცენტული პუნქტებით ნაკლებია. ეს არის ცალსახად დადებითი და ვრჩებით ლარიზაციის ერთგული“, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

მეშახტეებს ხელფასი დაურიგდათ

ტყიბულში ახალმა ინვესტორმა საქმიანობა დაიწყო და პირველი დაპირებაც შეასრულა — მეშახტეთა ვადაგადაცილებული სახელფასო დავალიანება სრულად იქნა გასტუმრებული და პირველი ცხელი პრობლემა მოიხსნა, — ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

„ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როდის დაიწყება შახტებში საქმიანობა და როგორია მისი განვითარების პერსპექტივა, იგივე თბოელექტროსადგურის მშენებლობის კუთხით. ასევე პრიორიტეტია შრომის უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა. მოცემული საკითხი პრიორიტეტულია და ეს ნორმები უნდა იყოს დაცული“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

სიღნაღში სერიოზული ხანძარი იყო

სიღნაღში, ისტორიულ უბანში, ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობის აღსადგენად სიღნაღის მერია კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან კონსულტაციების გამართვას გეგმავს.

როგორც საქართველოს პირველ არხს სიღნაღის მერმა გოგი გოგილაშვილმა განუცხადა, ხანძრის შედეგად დამწვარი შენობა 18-ე საუკუნეშია აშენებული. **„ეს შენობა მე-18 საუკუნეშია აგებული და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს. სამწუხაროა, რომ ამ ისტორიული უბანში ხანძრის ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ძველი შენობებია და ცეცხლი ხმელ ხის მასალას უცებ ეკიდება. ეს შენობა ქალაქის ღირსშესანიშნაობის ნაწილია და აუცილებლად უნდა აღვადგინოთ“,** — განაცხადა სიღნაღის მერმა. სიღნაღში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, მდებარე შენობაში მოთავსებული ოთხი ობიექტი ხანძრისგან სრულად განადგურდა, მათ შორის, სასტუმრო, რესტორანი, ერთი მარკეტი და ღვინის მაღაზია, რომელიც ერთი გადახურვის ქვეშ მდებარეობდა.

სალომე ზურაბიშვილი მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ შეწყალებულთა საქმეს საკუთარ თავზე იღებს და აცხადებს, რომ თავად შეარჩია შესაწყალებელი ადამიანები. მისი თქმით, შეწყალება ეხება არა ანგელოზებს, არამედ დამნაშავე პირებს. პრეზიდენტი ინიციატივით გამოვიდა, რომ დაიწყოს წესების სხვანაირად ჩამოყალიბება და დახვეწა. პრეზიდენტის პოზიციას იზიარებს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** და აცხადებს, რომ ზურაბიშვილმა დაუშვა მძიმე შეცდომა და პოლიტიკური ფასიც გადაიხადა.

for.ge **დავით ზარდიაშვილს** ესაუბრა.

დავით ზარდიაშვილი:

იუსტიციის სამინისტროს შეწყალების აქტებზე უფრო აქტიური პოზიცია უნდა ჰქონოდა

—პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. მმართველი გუნდი არ ერიდება პრეზიდენტის კრიტიკას, მეტიც: გაეროში პრეზიდენტს სიტყვა დაუწუნა მამუკა მდინარაძემ. რამდენად უშვებთ იმას, რომ პოლიტიკურ ველზე მივიღოთ იგივე სცენარი, როგორც გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური გუნდი ოპოზიციაში იყო პრეზიდენტთან?

— არა მგონია, ასე შორს წავიდეს საქმე. მარგველაშვილმა პოლიტიკური ოპოზიციონერობა დაიწყო და ცდილობდა, გარკვეული პოლიტიკური მიმართულება მიეცა. სალომე ზურაბიშვილს არ აქვს ასეთი ინტერესები, ეს აშკარად ჩანს. შეიძლება პრეზიდენტის საქციელში რაღაცა მოსწონდეთ, ან არ მოსწონდეთ უმრავლესობაში, მაგრამ ეს საკითხი პოლიტიკურ დაპირისპირებამდე არ მივა. მარგველაშვილი ცდილობდა გარკვეული პოლიტიკური მიმართულების შექმნას, პოლიტიკური ოპოზიციის როლს თამაშობდა და ეს იყო პრობლემა. ზურაბიშვილი ამას არ გააკეთებს. შეიძლება ვილაპარაკოთ შეცდომებზე, რომელიც შეწყალების საქმეს ეხება.

— შეცდომა შეიძლება იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს?

— იმპიჩმენტამდე საქმე არავითარ შემთხვევაში არ მივა. დარწუმუნებული ვარ, რომ დანაშაული არ ყოფილა, უბრალოდ, ეს იყო ძალიან მძიმე შეცდომა. იმდენი ხმაური მოჰყვა ამ შეწყალებას, პოლიტიკური ფასი გადაიხადეს ზურაბიშვილმა და მისმა მომხრეებმაც. რაც შეეხება გაეროში გამოსვლას, მე არ ვიცი, რა ნახა საკრიტიკო მდინარაძემ.

მეორე დღეს იმართებოდა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების გამოსვლა, წინა დღეს ხალხის გულის მოსაფხანად ილანძღო და იგინო რუსეთის მისამართით, ეს არადიპლომატიური, არარაციონალური და გაუმართლებელიც არის. ამ კუთხით უნდა შევხედოთ პრეზიდენტის გაეროში გამოსვლას. იქ რაც მოხდა, ეს გახლავთ რუსეთ—საქართველოს შორის, პირდაპირი დიალოგის კუთხით, ყინულის დაძვრა. ეს კი, ვარგა - არ ვარგა, არ ვიცი. შედეგები დაგვანახებს.

— უშვებთ თუ არა პრეზიდენტის და უმრავლესობის დაპირისპირებას?

— არა. რაღაცა გარკვეული წინააღმდეგობები იქნება, თუმცა კარგად არ მესმის იუსტიციის სამინისტროს პოზიცია, იმიტომ, რომ როგორც კი პრეზიდენტმა მუშაობა დაიწყო შეწყალების აქტებზე, რასაკვირველია, იუსტიციის სამინისტროს უფრო აქტიური პოზიცია უნდა ჰქონოდა. გარკვეული ინფორმაცია მას ექნებოდა, რომ მარიამობისთვის შეწყალების აქტი მზადდებოდა. ახლა კი იუსტიციის მინისტრი იძახის, კომუნიკაცია არ ყოფილაო, მაგრამ თვითონ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით უნდა ყოფილიყო ეს კომუნიკაცია, რომ ასეთი მძიმე შეცდომები არ ყოფილიყო დაშვებული. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შეცდომებზეა საუბარი, მაგრამ დანაშაულზე ლაპარაკი, არა მგონია, სწორი იყოს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ შეცდომა იყო მკვლელობაში მსჯავრდებული პირების შეწყალება?

— რასაკვირველია, და ამაზე რამდენჯერმე გააკეთა განმარტება პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა თქვა, არ მინახავს გვარი ოთხმეზური, თორემ არ შევიწყალებდიო. რა გამოდის, რადგან არ ნახა, იმიტომ შეიწყალა? თუ ეკუთვნოდა შეწყალება, რატომ არ უნდა შეეწყალებინა? პრეზიდენტი ვერ ჩამოყალიბდა და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არის შეცდომა?

— ჩვენ ვმსჯელობთ ისეთ საკითხზე, რასაც ჰქვია შეწყალების აქტი. აქ ბევრი რამე უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. ჯერ ერთი, პრეზიდენტმა რამდენჯერმე ახსნა, ეს არ არის მართლმსაჯულების გაგრძელება, ეს არ არის სასამართლო. დამნაშავეა, თუ არ არის დამნაშავე, ამაზე არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია იმაზე, პირადი დამოკიდებულებით რა განწყობა ექნება პრეზიდენტს. შეწყალება ჰუმანური აქტია, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პირი დამნაშავეა. მკვლელებს, ყაჩაღებს და დამნაშავეებს იწყალებენ, უდანაშაულო ადამიანს შეწყალება რაში სჭირდება. ლაპარაკია მსჯავრდებულებზე და გასაგებია ეს ყველაფერი.

პრეზიდენტს რომ სცოდნოდა, ოთხმეზურის შემთხვევაში უკან იდგა მკვლელი და მსხვერპლი იყო ოთხმოზურის ოჯახი, რომელსაც მაღალი ავტორიტეტი აქვს, რასაკვირველია, მოხდებოდა ამის გათვალისწინება და არ წავიდოდა ამ ნაბიჯზე. ახლა კი, ასეთი გახმაურებული საქმის გამო, დიდი ხმაური ატყდა და ამაში ძალიან დიდი პოლიტიკური ფასი გადაიხადა პრეზიდენტმა, რადგან სერიოზული დარტყმა მიადგა არა მარტო პრეზიდენტს, არამედ მთლიანად ამ ინსტიტუტს. იმის თქმა, რომ ეს არ იყო შეცდომა, ძნელია. რა თქმა უნდა, შეცდომა იმის გამოც იყო, რომ პრეზიდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია, კარგად არ იცოდა, ვის იწყალებდა და ეს აღიარა კიდეც.

— იუსტიციის სამინისტროს დანაშაულს უფრო ხედავთ, ვიდრე პრეზიდენტის? ამ შემთხვევაში სისტემური დანაშაული იკვეთება?

— სისტემური თვალსაზრისით, აქ დანაშაული არ არის. დანაშაულზე ვერ ვილაპარაკებ. მოხდა ასეთი ფაქტი — პრეზიდენტმა, როგორც კი შეუდგა მოვალეობის შესრულებას, თქვა, რომ ის გადახედავდა შეწყალების მოქმედ წესს, რომელიც ითვალისწინებს შეწყალების კომისიის არსებობას პრეზიდენტთან. ის ფიქრობდა სწორად და ეს პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია, რომ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასულიყო ეს კომისია და პრეზიდენტთან უნდა მომხდარიყო გაფილტრული სია. ეს ვერ მოხერხდა, მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა იუსტიციის სამინისტროს, რომ პრეზიდენტის ეს ინიციატივა განხორციელებულიყო. მოხდა ისე, რომ ძველი კომისია არ არსებობდა, რახან პრეზიდენტი წესის შეცვლას აპირებდა, ახალი კომისია არ შეუქმნია და შეწყალება მოხდა წესის გარეშე, იმ კრიტერიუმების გარეშე, რაც იმ წესში წერია.

— სწორედ ეს აჩენს კითხვებს, რატომ იხელმძღვანელა მოქმედი აქტით?

— იმიტომ, რომ ახალი წესის შექმნას აპირებდნენ. პრეზიდენტს კანონი კი არ დაურღვევია. ამ წესში წერია და მისი მესამე მუხლი ამბობს, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, წესის გარეშეც შეიწყალოს მსჯავრდებული. ანუ, მას შეუძლია წესი ან გამოიყენოს, ან არა. შეწყალების უფლება არის პრეზიდენტის სრული დისკრეცია. მარგველაშვილმა საკუთარ თავს დაუწესა დისკრეცია, როდესაც ეს წესი მიიღო. ზურაბიშვილი უფრო მეტი შეზღუდვების დაწესებას აპირებდა საკუთარი თავისთვის.

მორატორიუმი, რომელზეც პრეზიდენტი საუბრობს, კონსტიტუციონალისტების შეფასებით დაუშვებელია. ავთო დემეტრაშვილის შეფასებით, მორატორიუმის აქტის გამოშვება იქნებოდა დანაშაული პრეზიდენტის მხრიდან...

— არ არის სწორი. ავთო დემეტრაშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ აყოლილი არის ამ აჟიოტაჟს. შეწყალება მსჯავრდებულის უფლება კი არ არის, ეს არის პრეზიდენტის უფლება. მსჯავრდებულს არა აქვს უფლება, მოითხოვოს, გინდა თუ არა შემიწყალეო. ეს არის ჰუმანური აქტი, ეს არ არის მართლმსაჯულების აქტი. პრეზიდენტს უნდა შეიწყალებს, უნდა არა და ვისაც უნდა, იმას შეიწყალებს. შეზღუდვა აქ არ არის.

პრეზიდენტები საკუთარ თავს თვითონ უწესებენ შეზღუდვას და ამ წესებს ღებულობენ. ვერავინ ვერ დაუდგენს მათ ამ წესს, ვერც პარლამენტი და ვერც ვერავინ. პარლამენტი ვერ შეზღუდავს პრეზიდენტს და ვერ ეტყვის შენ ამა და ამ წესით შეიწყალეო, ეს შეუძლებელია. ამ დისკრეციას კი, როგორ გამოიყენებს, ეს არის პრეზიდენტის საქმე და შეუძლია, საერთოდ უარი თქვას შეწყალებაზე — თქვას, რომ ამ პირობებში მე არ შემიძლია ვინმეს შეწყალებაო და მორატორიუმიც ეგ არის.

— შესაძლოა, კორუფციასთან გვქონდეს საქმე? ეჭვს აღვივებს ისიც, რომ გამოკითხვაზე დაბარებული იყვნენ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროდან ადვოკატები...

— რასაკვირველია, მიჩნდება ეს კითხვა და გამოძიებამ უნდა გასცეს ამას პასუხი. ეჭვი გონივრულია, რატომ მოხვდნენ შეწყალების სიაში ისეთი ადამიანები, რომლებიც არავითარ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებენ. მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულს სასჯელის ნახევარი მაინც უნდა ჰქონდეს მოხდილი, რათა შეწყალების საკითხი განიხილო. აქ რაიმე კანონი, ან ნორმატიული აქტი არ დარღვეულა. იმავე წესში წერია, რომ პრეზიდენტს შეუძლია ამ წესის მოთხოვნების გარეშეც შეიწყალოს მსჯავრდებულები. რახან უკვე ამ წესში ეს კრიტერიუმი არის, რასაკვირველია, უხერხულად გამოიყურება, რომ ეს კრიტერიუმი გათვალისწინებული არ არის. ამიტომ ვამბობ, რომ ეს იყო მძიმე პოლიტიკური შეცდომა, რაზეც უკვე პრეზიდენტმა მიიღო პასუხი. საკმაოდ მძიმე დღეში ჩაიყენა თავი, ბულინგამდე მიიყვანა საქმე, ვისაც არ ეზარება, გამოდის და პასუხს სცემს.

— იმპიჩმენტს გამორიცხავთ, მაგრამ გამოძიების მოლოდინი გაქვთ? ოპოზიცია აცხადებს, რომ გამოძიება იმოქმედებს ისე, როგორიც იქნება ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება...

— ასე ყველაფრის თქმა შეიძლება. რა თქმა უნდა, საქმეს აქვს პოლიტიკური კომპონენტი, რადგან ლაპარაკია პრეზიდენტის ინსტიტუტზე. მაგრამ აქ არის საკითხის სამართლებრივი მხარე. თუ დანაშაული მოხდა, ანუ იყო კორუფიცული სქემა, ის არ დაიმალება, შეუძლებელია. არ შეიძლება პრეზიდენტის, ან ხელისუფლების ინტერესში შედიოდეს ამ დანაშაულის დამალვა, რადგან ძალიან დიდ ფასს გადაიხდიან ამაში. თუ რამე ეჭვი არსებობს, ჯობია, ეს ეჭვი მოიხსნას, რაც ხელსაყრელია ხელისუფლებისთვის და პრეზიდენტისთვის.

თამთა ქარჩავა

თეონა დოლენჯაშვილი:

გივი რაზმაძისთვის შეძენილ სახლს მხოლოდ იმ ოჯახს გადავცემთ, რომელიც გუგუტიანთკარში იცხოვრებს

მოძრაობა „ლელოს“ წარმომადგენელი თეონა დოლენჯაშვილი აცხადებს, რომ სახლს მხოლოდ იმ ოჯახს გადასცემენ, რომელიც გუგუტიანთკარში იცხოვრებს.

როგორც თეონა დოლენჯაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რაზმაძეების ოჯახს არ სურს, სახლი, რომელიც მამუკა ხაზარაძემ აჩუქა, გუგუტიანთკარში დაიდგას.

„ცოტა არ იყოს დაბნეული ვარ, რადგან აქამდე როგორც ვიცოდი, სხვა პოზიცია ჰქონდათ მათ და მართალი რომ გითხრათ, ცოტა გაოცებულიც ვარ. მიპასუხეს, რომ მათ არ სურთ, ეს სახლი იდგას გუგუტიანთკარში. უნდათ მშვიდი და ნორმალური ადგილი, სადაც ამ სახლს დადგამენ და ასეთ ადგილს თავად გამოძებნიან გორში. როდესაც ვკითხე, რატომ იქ არა, მითხრეს, რომ იქ ფიზიკურად არ არის ადგილი, იქიდან ხალხი გამორბის. ლევან რაზმაძის საუბრიდან გამოდიოდა, რომ მშვიდი და ნორმალური ცხოვრება უნდა, გორში იპოვის ადგილს და იქ მივიტანოთ ეს სახლი. როდესაც ლევან რაზმაძე ამბობს, რომ არ მინდა პოლიტიკაში ჩართვა, გულისხმობს, რომ გუგუტიანთკარში თუ იცხოვრებს, ეს არის პოლიტიკაში ჩართვა. თან მესმის ამ ადამიანების, მათ არა აქვთ უსაფრთხების განცდა, მაგრამ ეს არის თითოეული ჩვენგანის საქმე“, — განაცხადა თეონა დოლენჯაშვილმა, რომელიც გივი რაზმაძის შვილს ლევან რაზმაძეს ესაუბრა.

მესხეთის მუხლჩაუხრელი მეცხოვნე

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო მერაბ!
ჩვენო უღალატო მეგობარო და კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან სიკეთითა და სიქველით გამორჩეულ დიდებულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

გვახარებს იმის გააზრება და გასიგრძეგანება, რომ თქვენ მარტო ჩვენი უღალატო ძმა კი არ ხართ, არამედ ქართული ცისა და მიწის ერთ-ერთი უბადლო მეციხოვნე, რომელიც აგრერიგად სჭირდება არა მარტო მის მშობლიურ, მრავალჭირგადანახად მესხეთს, არამედ სრულიად საქართველოს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1967 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „მეგობრობა“. სწორედ მეგობრობის, სიყვარულის, მოყვასისადმი თანადგომის აპოლოგეტად გიცნობთ და მტკიცედ გვწამს, რომ სხვანაირად არც შეგიძლიათ არსებობა. ამ უმშვენიერესი იდეალებითაა განმსჭვალული თქვენი პოეტური კრებული „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“, რომელიც მარადიული სიფხიზლისაკენ მოუწოდებს თანამოძმეთ, რათა ერთად გავუძლოთ გამოფხიზლებული, გავეშებული მგლების შემოსევებს, რომლებსაც ივერთა მიწა სათარეშოდ, გასათელად სჭირდებათ.

თქვენ თქვენი არსებობით, თქვენი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობით წარმოადგენთ ნორმასა და ნიმუშს იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ აკეთო დიდი ეროვნული საქმეები, რომელთა მასშტაბისა და სიღრმის გააზრება ბევრს არ ძალუძს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებას, დავაზუსტებთ, ქართულ ონომასტიკას, თქვენი სახით, ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური მკვლევარი ჰყავს. ამის დასტურია თქვენი, როგორც საკანდიდატო („ჯავახეთის ტოპონიმია“ – 1986 წ.), ისე სადოქტორო („მესხური ტოპონიმიის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები“ – 2005 წ.) მონოგრაფიები. რა ნიშანდობლივია, რომ მთელი თქვენი მეცნიერული მზერა მთლიანად თქვენი მშობლიური კუთხისკენაა მიმართული და მისი წარსულის გამომზეურებას ემსახურება. თქვენი მეცნიერული ნაბიჯები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, სადაც 1973 წლიდან ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში დაიწყეთ მუშაობა ჯერ ლაბორანტად, მერე კი მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაკად. კარიერის გაგრძელება იქვე დიდი წარმატებით შეგეძლოთ, მაგრამ შინაგანმა ხმამ გიკარნახათ, რომ ძალზე სჭირდებოდით მშობლიურ კუთხეს – მესხეთს და 1990 წლიდან სათავეში ჩაუდექი თსუ-ს ახალციხის ფილიალს. თქვენვე ჩაუყარეთ საფუძველი თსუ-ს ჯავახეთის ფილიალს და დიდხანს იყავით მათი დირექტორი. ეს ფილიალები თქვენ ქართველი და სომეხი ახალგაზრდების აღზრდის, მათი დამეგობრების უმძლავრეს კერებად აქციეთ. 2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყავით. ამჟამად რექტორის მოადგილე მრძანდებით სამეცნიერო დარგში და ჩვეული გატაცებით ემსახურებით საყვარელ საქმეს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩეული იყავით საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორად.

თქვენი მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები – „ტაძრები და სახელები“, „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“, „ზველი და მისი შემოგარენი“, „ნასოფლარი ერკოტა“, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა“, „ასპინძა და ასპინძელობა“ ჩვენთვის ანთებულ კელაპტრებს წარმოადგენს, ქართული სისხლით შეფერილი მატიანის სადიდებლად დანთებულს.

თქვენი რედაქტორობით გამოიცა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“ და ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არავი“. დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი ხართ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“. იყავით სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თქვენი, სამშობლოს სამსახურში უშურველად დახარჯული ერისკაცის ღვაწლი ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. „ქართული სულის“ ფესტივალზე თქვენ, როგორც ქართული სულიერების გამაძლიერებელს მესხეთსა და სრულიად საქართველოში, „დიდი მესხის“ წოდება და ოქროს მედალი მოგენიჭათ. 2013 წელს ჟენევაში გადმოგეცათ ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი. არჩეული ხართ ახალციხის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო მერაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საქართველოს სამხრეთი კარიბჭის მეციხოვნეთა რაზმის წინამძღოლს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ეს ასპინძელი ჭაბუკი გარეჯელ ქალსა ჰყვარობდა...

კაცმან უნდა თვისი საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სადმე დარგოს.

ვახტანგ VI

წინ მიდევს ახლახან გამოცემული სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია“, რომელიც ამ ისტორიულად გამორჩეული მხარის წარსულისა და დღევანდელობის ნამდვილი მატიანეა.

წიგნის სარედაქციო კოლეგიას (რედაქტორი ვალერი ასათიანი) შესანატრი მონდომებით უმუშავია, რომ ჩვენი ქვეყნის სულიერი მწყემსმთავრის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დიდი საეკლესიო და საერო მნიშვნელობის უნიკალური ნაშრომი ეჩუქებინა ქართველი მკითხველისთვის. დარწმუნებული ვარ, მალე ასრულდება წიგნის რედაქტორის წინათქმაში გამჟღავნებული სურვილიც და მსგავსი მრავლისმომცველი ილუსტრირებული გამოცემა საქართველოს სხვა ეპარქიებსაც მიეძღვნება. „ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიას“, როგორც წიგნსა და ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული სულიერების ერთ-ერთ მთავარ სიტყვიერ ძეგლს, მაგალითის ძალა აქვს...

ამჯერად, წიგნში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ხაზგასმით გამოვყოფ **პროფესორ მერაბ ბერიძის სამეცნიერო სტატიას „ტაძრები და სახელები (ეკლესიონიმები მესხეთში), რომელიც ნათლად მეტყველებს ავტორის მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და პრობლემის კვლევის სიღრმეზე. გამოცდილი ონომასტიკი, ტოპონიმისტი (თითოეული ქართული სოფლის, ციხე-ქალაქის, ეკლესია-მონასტრების სახელწოდებათა ისტორიის შემსწავლელი), ენათმეცნიერი და მწერალი მერაბ ბერიძე დამაჯერებლად გვარწმუნებს იმაში, რომ ქრისტიანული ძეგლები სამცხეში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავიანთი სარწმუნოებრივი მისიით, ისტორიულ-კულტურული დანიშნულებით, არამედ დიდი ონომასტიკური დატვირთვითაც. სამცხეში ამოუწურავია ქრისტიანობის ეპოქაში შექმნილი ტოპონიმები და ისეთი სახელები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს ენობრივ და ისტორიულ წარსულთან.**

მერაბ ბერიძემ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები სწორედ ჯავახეთისა და მესხეთის ტოპონიმიებს მიუძღვნა და მეცნიერების ამ სფეროს მეტი ხიბლი და ავტორიტეტი შესძინა. მისი ყველა ნაშრომი წიგნად გამოიცა.

მერაბ ბერიძე მეუღლესთან ერთად.

მკითხველის მოწონება დაიმსახურა მ. ბერიძის პოპულარულმა წიგნებმა „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა“, „ასპინძა და ასპინძელობა“, პოეტურმა კრებულმა – „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“...

ამით ამ თავაზიანმა, უბრალო და კეთილშობილმა კაცმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ საზოგადო საქმემ, ხელმძღვანელის მძიმე ტვირთმა და საოცრად ამბიციური და მომთხოვნი სტუდენტი-ახალგაზრდობის წინაშე ყოველდღიურმა პასუხისმგებლობამ არ შეიძლება მეცნიერულ კვლევებს და მწერლობას მოგწყვიტოს...

თუ ამ ხანმოკლე და ყოველდღიური ჭირ-ბოროტით აღსავსე წუთისოფელს საკუთარი ქვეყნისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ გონივრულად მოიგვარგებ, 70 წლის ასაკში უკვე შესანიშნავი ჭირნახულის დაბინავების დრო დაგიდგება...

მე შენ გეტყვი და, სექტემბრის ბოლოს დაბადებულ კაცს ბარაქიანი ქართული რთველის – მეცნიერულისაც და მამაპაპურისაც გამართვა გაუჭირდება.

სწორედ ნანინანატრი „რთველი“ გაიმართა 28-29 სექტემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მერაბ ბერიძის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც იუბილარის კოლეგა-მეცნიერთა მხოლოდ საქმიანი, პრობლემური და სტუდენტთათვის სასარგებლო ფილოლოგიური ძიებანი წარმოჩინდა და არა ამ ფუძეძლიერი „დიდი მესხის“ ქება-დიდება და უსაგნო ლაქლაქი.

25 წელზე მეტი უწინაძღვრა მერაბ ბერიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის (პარალელურად ჯავახეთის ანუ ახალქალაქის) ფილიალებს დირექტორის რანგში, 2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის, ბოლოს, 2014 წლიდან – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე და არასოდეს არაფერში ჩაჭრილა – პრინციპული და სამართლიანი თავკაცის სახელი დაიმკვიდრა.

პირადად მე, როგორც სამცხე-ჯავახეთზე – საფარისა და ზარზმის ტაძრებზე, განსაცვიფრებელ ვარძიაზე შეყვარებული რიგითი ქართველი, ვთვლი, რომ მთავარი საქმე, ყველაზე ეროვნული და საჭირო საქმე, რაც მერაბ ბერიძემ გააკეთა, მისი ნალოლიავები ოჯახი და სამი შვილია, სამი ვაჟკაცი, რომლებიც უკვე 8 ბერიძეს, 8 ჯანსაღ შვილს უზრდიან სამშობლოს! ღმერთმა გამრავლოთ ბერიძეებო, თქვენ ხომ დღევანდელ საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ხართ!

განსაკუთრებული მადლობა მერაბ ბერიძის მეუღლეს, დიდებულ ქალბატონს ნათელა ნაცვლიშვილს, რომელიც საგარეჯოში გაიზარდა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მალევე მისთხოვდა მაშინ რუსთაველის ავთანდილივით უზადო თანაკურსელს. მას ერთხელაც არ დაუწუწუნია თბილისიდან სამცხე-ჯავახეთში „გადასახლების“ გამო.

მხნედ, ჩემო მერაბ. სულაც არ მიხუმრია რუსთაველის ავთანდილს რომ შეგადარე. ამ ასაკში მეგობრისგან სიმართლის თქმა არ „გაგაწითლებს“... ისიც მართალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ შენ გენიალური „მესხი მელექსის“ სიბრძნით იცხოვრე – „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“...

შენი მეცნიერული და პოეტური მონაგარი, შენი 3 შვილი და 8 შვილიშვილი, შენი თაყვანისმცემელი ათეული ათასობით სტუდენტი ამის დასტურია.

სპარტაკ ძოწულია

ხელისუფლებას 16 000 ავტომობილი ეკუთვნის, რომელთა შენახვა 128 მილიონი ჯდება

„შავი ჯიპების ქვეყანა“

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პოსტი ისე დატოვა, რომ შავი ჯიპების ეპოქის დასრულება ვერ მოახერხა. თუმცა, მისი იდეა მომავალმა მთავრობამაც გაიზიარა და მიმდინარე წლის ივლისში გამოცხადებული ტენდერის მიხედვით მთავრობა 135 ჯიპის შეძენას გეგმავდა, მთავარი მოთხოვნა კი იყო ის, რომ ჯიპები ნებისმიერი ფერის უნდა ყოფილიყო გარდა შავისა. მაგრამ, პრობლემა რომ მხოლოდ ფერი არ არის, ამას აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევაც ცხადყობს, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ იფლანგება ბიუჯეტის თანხები ამ მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი, რომელიც 2017 წელს მოიცავს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოწმების შედეგად, სისტემატურად ვლინდებოდა ავტოპარკთან დაკავშირებით გარკვეული სახის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც წლების განმავლობაში ვერ ხდებოდა. სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის და ხარჯების შემცირების მიზნით, 2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს მთავრობის №121 დადგენილება, სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი...

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეესწავლა მთავრობის №121 დადგენილების ამოქმედების შემდგომ სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის საკუთრებაში 16,189 ავტომობილი ირიცხებოდა, რომელთა შენახვაზე (საწვავი, საპოხი მასალა და სხვა) 128,250,392 ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი მიგნებები:

დადგენილებით განსაზღვრულზე მეტია ავტომობილების რიცხოვნობა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თითოეული დაწესებულებისთვის განისაზღვრა განპირობებული ავტომობილებით მოსარგებლე თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და სამორიგეო ავტომობილების ზღვრული ოდენობები შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში 1 (ერთი) სამორიგეო ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დამატებით 1 (ერთი) ავტომობილი.

შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან 14-ში ავტომობილების რაოდენობა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულს 401 ერთეულით აღემატება, რითაც არ არის გათვალისწინებული მთავრობის დადგენილების მოთხოვნები.

დადგენილზე მეტი რაოდენობის და არაკლასიფიცირებული ავტოპარკი იძლევა შესაძლებლობას, რომ სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობდეს ისეთი თანამშრომელი, რომელსაც თანამდებობრივად არ ეკუთვნის სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობა.

ავტომობილების შესყიდვისას ტექნიკური მოთხოვნების დაუცველობა

შეძენილი 274 ავტომობილიდან, მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დაცვით შესყიდულია მხოლოდ 59 ერთეული, ხოლო 5 (ხუთი) ორგანიზაციის მიერ შესყიდული 215 ავტომობილიდან 23 ერთეული შეძენილია მხოლოდ ავტომობილის ღირებულებით, ნაცვლად ზღვრული ფლობის ღირებულების გათვალისწინებისა, ხოლო 192 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილი (მათ შორის 96 ერთეული საგამოცდო, ხოლო დანარჩენი 96 დაცვის პოლიციის სპეციალიზებული), შეძენილია სამთავრობო კომისიასთან შეუთანხმებლად.

საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტის შედეგად, ავტომობილების მიერ მოხმარებულ საწვავთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: აუდიტით შესწავლილი 34 ორგანიზაციის მიერ, საწვავის ლიმიტების განსაზღვრის წინაპიროებები არ არის ჩამოყალიბებული; შერჩეული 8 ორგანიზაციის 33 ავტომობილიდან, განხორციელდა 17 ერთეული ავტომობილის შემოწმება საწვავის ავზის ზუსტი ტევადობის დასადგენად, საიდანაც 8 შემთხვევაში დადასტურდა აგაის მონაცემებით დაფიქსირებული ოდენობის საწვავის ჩასხმის შესაძლებლობა, 9 შემთხვევაში ვერ დადასტურდა, ხოლო 16 ავტომობილი არ გამოცხადდა შესამოწმებლად; 12 ორგანიზაციაში გამოვლინდა ჯამში 875 შემთხვევა, როდესაც განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულებაში/მივლინებაში ყოფნის პერიოდში, ავტომობილების ექსპლოატაცია გრძელდებოდა.

აუდიტის ობიექტებიდან (შსს-ს სტრუქტურული ერთეულები) მიღებული განმარტებით, მოხელის შვებულებაში ყოფნისას ავტომობილით სარგებლობა აიხსნება სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო, ხშირად ხდება საჭირო, უმოკლეს დროში შვებულებისას მოხელის გამოძახება, თუმცა შვებულებაში მყოფი პირისთვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ავტომობილის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი და საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უფლებას დართავდა გარკვეულ პირთა წრეს, შვებულების პერიოდშიც ესარგებლა სამსახურებრივი ავტომობილით, არ არსებობს; შესწავლილი 34 ორგანიზაციიდან 6-ში, გარდა სამსახურებრივი მანქანებისა, კანონმდებლობის შესაბამისად, საწვავის ლიმიტი დაწესებული იყო თანამშრომლების პირად მანქანებზე. თუმცა, დაუსაბუთებელია კონკრეტულ თანამშრომელზე საწვავის ლიმიტის საჭიროება და რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები;

ზემოთ აღწერილი საკითხებიდან გამომდინარე, შესწავლილ ობიექტებში ავტოპარკის საწვავით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მექანიზმები სუსტია და ასევე დახვეწას საჭიროებს აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმებიც. შესაბამისად, არსებობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

BFM.GE
COMMERSANT.GE

64-ჯერ გადათხრილი გზა ისევ გასაკეთებელია

„ეს არის არაკომპეტენტურობისა და არაპროფესიონალიზმის შედეგი, რაც წყნეთში, აფხაზეთის ქუჩაზე ხდება. ორი წელია, გზა დააგეს და ამ დროის განმავლობაში 64-ჯერ გადათხარეს. მოსახლეობა გაგიჟებულია და პრობლემას არავინ აგვარებს“.

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი როსტომაშვილი** სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. როგორც იგი ჰყვება, თავის დროზე 1800 მეტრ მონაკვეთზე გზა ისე დაიგო, კომუნიკაციების პრობლემა არ მოგვარებულა. ამიტომ ადგილზე მუდმივად დაბრკოლებები და სირთულეებია: **„წყნეთში, აფხაზეთის ქუჩაზე (ყოფილი გურამიშვილი), 2 წლის წინ დააგეს ახალი ასფალტი, სანამ დააგებდნენ, ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც ვიცე მერი (ირაკლი ხმალაძე) უძღვებოდა (სულ სხვა საკითხზე იყო შეხვედრა, GWP-ს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ), ვუთხარი, რომ კომუნიკაციები იყო შესაცვლელი, და ახალი საფარის დაგება წყალში გადაყრილი ფული იქნებოდა... არაო, ყველაფერი წესრიგში არისო... – 24 თვეში, 1800 მეტრი მონაკვეთი, 64 -ჯერ გადათხარეს... (ხუმრობის გარეშე, დავთვალე!)“,** – წერს ირაკლი როსტომაშვილი.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად ბიუჯეტიდან გამოყოფილი მსხვილი თანხისა, მოსახლეობა ისევ სავალი გზის გარეშეა დარჩენილი: **„თავის დროზე სავარაუდოდ, არჩევნების წინ დააჩქარეს პროცესები და დააგეს გზა, მაგრამ გამოდის ტყუილად გადაიყარა მილიონები. არადა, თავის დროზე ნამდვილად ვუთხარი ვიცე-მერს, რომ თუ პრობლემა სრულად არ მოგვარდება, მომავალში 10-ჯერ მეტი დაგვიჯდებოდა და აი, შედეგიც. მოსახლეობა პანიკაშია და ყოველდღე ასეთ გზაზე გადავაადგილდებით, უკვე ორი წელია“.**

წყნეთში, აფხაზეთის ქუჩა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. როგორც HUB Georgia-დამფუძნებელი **ვასო ურუშაძე** ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, მსგავსი შემთხვევა საქართველოს მასშტაბით ძალიან ხშირად ხდება. არსებული მოცემულობა კი ორი მთავარი გარემოებით აიხსნება. პირველი-სახელმწიფო სტრუქტურებში არარსებული მენეჯმენტი და მეორე კორუფციული რისკები:

„თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკა გამიჯნული უნდა იყოს მართვისა და მენეჯმენტისგან. ამ უკანასკნელის ნაწილში საჭიროა კომპეტენტური და კვალიფიციური გუნდი და არა ის, რაც ხდება დღეს ხელისუფლებაში. ზოგადად, 30-წლიან პერიოდში ტრადიციად იქცა, რომ სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები დაკომპლექტებულია პოლიტიკური და პარტიული ნიშნით, ამიტომ მთლიანი სისტემა დგას თავდაყირა. გყავს არაპროფესიონალი ადამიანები, რომლებიც იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს და საბოლოოდ ვიღებთ იმ შედეგს, რაც ხდება წყნეთში, აფხაზეთის ქუჩაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტივია, რომ გზის დაგებისას გაითვალისწინებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს. ვგულისხმობ თანმიმდევრობას და პრიორიტეტების მიხედვდით გადაწყვეტილებების მიღებას: ჯერ უნდა მოწესრიგდეს წყალგაყვანილობა, ელექტროსისტემები, მიწისქვეშა კომუნიკაციები და მხოლოდ ბოლო ფაზაში უნდა დაიგოს მიწის საფარი. შემდეგ უკვე ტროტუარი და ველოსიპედის გზა და ა.შ. ეს სტანდარტები არსებობს, გაწერილია და ცნობილია. უბრალოდ სწორი მენეჯმენტია საჭირო, რომ იცოდეს, რა როგორ გააკეთოს“.

რაც შეეხება კორუფციულ რისკებს, ვასო ურუშაძის თქმით, ზოგადად, გზის დაგება და ინფრასტრუქტურა ის მიმართულებაა, სადაც ძალიან ხშირად შესაძლო კორუფციული რისკები იკვეთება. აღნიშნულს მოწმობს არაერთი ტენდერი, სადაც გამარჯვებული კომპანია დაკისრებულ მოვალეობას უხარისხოდ ასრულებს: **„ხშირად, როცა ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტი და იხარჯება ფული, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია არა მიღებული შედეგი, არამედ პირადი ინტერესი. უფრო ზუსტად, კონკრეტულმა პირებმა ამ ყველაფრისგან მიიღონ შემოსავალი. ძირითადად ესაა მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, რომლებიც იმარჯვებენ ტენდერებში. თუმცა უხარისხოდ ასრულებენ სამუშაოებს, სამაგიეროდ ამ ყველაფრისგან სარგებელს იღებს მესამე პირი“.**

რა ბედი ეწევა აფხაზეთის ქუჩას წყნეთში? – ამ კითხვით „კომერსანტი“ თბილისის მერიას დაუკავშირდა. როგორც უწყებაში განგვიცხადეს, აღნიშნული მონაკვეთი კახა კალაძის მეროობის დროს არ გაკეთებულა. დღევანდელი მიდგომები კი ზუსტად იმით განსხვავდება წინამორბედებისგან, რომ გზის საფარის დაგება კომუნიკაციების პრობლემის მოგვარებით იწყება.

სალომე ლემონჯავა

ღირსეული



ფინეთისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე, მებრძოლი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე 1953 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას პირველ მდივანად. მას და მის მეუღლეს ვიქტორიას გამოვლილი ჰქონდათ ლენინგრადის უმძიმესი 900-დღიანი ბლოკადა, ისინი ებრძოდნენ დამპყრობელებს.

მჟავანაძეს 1953-1972 წლებში 19 წლის მანძილზე საქართველოს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. ისტორიისათვის 19 წელი ერთი გაელვებაა, მაგრამ რომ არა ვასილ მჟავანაძე, შესაძლოა, დღეს საქართველო რუკიდან გამქრალი ყოფილიყო. სწორედ მის მოღვაწეობას უკავშირდება ჩვენი სამშობლოს და ჩვენი სარწმუნოების გადარჩენა.

მჟავანაძემ ჩამოსვლისთანავე უპირველესად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა. მან იცოდა, რომ საქართველო ოდითგან მიწათმოქმედების ქვეყანა იყო და ამიტომაც სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდა.

გარდა ამისა, უდიდეს ძალისხმევას იჩენდა მრეწველობის, საწარმოების გადაიარაღებისთვის, მოდერნიზაციისთვის და ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სიმძლავრეების მშენებლობისადმი. ფართო გასაქანი მიეცა ბინათმშენებლობას. დაიწყო ენგურჰესის და მადნეულის კომბინატის მშენებლობა. აშენდა მეტრო, სპორტის სასახლე, ტელევიზია, მრავალი ჯანმრთელობის, კულტურის და საგანმანათლებო ობიექტი. დაიწყო ჯერ თბილისის და შემდეგ რაიონების გაზიფიკაცია, რამაც გადაარჩინა ჩვენი უნიკალური ტყეები. რესპუბლიკა დაემსგავსა უდიდეს სამშენებლო პოლიგონს, ქვეყნის ეკონომიკა მყარად დაადგა აღმავლობის გზას.

უმაღლეს დონეზე აღინიშნა თბილისის დაარსებიდან 1500 და შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილეები.

ვასილ მჟავანაძის წყალობით გადაურჩა დახურვას კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. არნახული წარმატებები მოიპოვა მეცნიერებამ, კულტურამ და სპორტმა.

ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაცია და ყოფილი საქართველოს ცეკას პირველი მდივნების კანდიდ ჩარკვიანის და აკაკი მგელაძის რეაბილიტაციაც და გადასახლებიდან დაბრუნება პირადად მჟავანაძის დამსახურებაა (მოსკოვში ჩავიდა, სთხოვა და დაითანხმა პარანოიკი ნიკიტა ხრუშჩოვი).

ხრუშჩოვი როგორც კი საბჭოეთის ხელმძღვანელი გახდა, მისი განკარგულებით სტალინის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოასვენეს. მას განა მარტო სტალინი, ქართველი ხალხიც უსაზღვროდ სძულდა, ამიტომაც გადაწყვიტა, ქართველები მკაცრად დაესაჯა და საქართველოდან გადაესახლებინა ციმბირის უმკაცრეს კლიმატურ ოლქებში. თავდაცვის მინისტრმა ჟუკოვმა მისგან დავალებაც მიიღო — ქართველები სატვირთო ვაგონებში შეეყარათ და შორეული აღმოსავლეთის გზისთვის გაეყენებინათ.

ვასილ მჟავანაძე სასწრაფოდ ჩავიდა ხრუშჩოვთან და უმძიმესი საუბრის შემდეგ ქართველთა მოძულე ნიკიტას ეს ბოროტი ზრახვა გადააფიქრებინა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რის ფასად.

ამ მოლაპარაკების შემდეგ, მჟავანაძემ ყველაფერი იღონა, რომ ლეონიდ ბრეჟნევთან და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ფარული შეთანხმებით ნიკიტა ხრუშჩოვი ძალაუფლებისგან ჩამოეშორებინათ. მჟავანაძემ საბჭოთა იმპერია არანორმალური ლიდერისგან იხსნა და, რაც მთავარია, საქართველო და ქართველი ხალხი ავბედობას გადაარჩინა.

ტოტალური ათეიზმის პერიოდში ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ჩვენი მართლმადიდებული ქრისტიანული რელიგიის მიმართ არა მატრო შემწყნარებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, არამედ ზრუნავდა და აქტიურ თანადგომას უცხადებდა მას მეტად საჭირბოროტო საკითხებში.

ვასილ მჟავანაძეს უსაზღვროს უყვარდა თავისი სამშობლო და მშობლიური ერი. დღენიადაგ ქვეყნის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მისი 19-წლიანი ლიდერობის პერიოდი სათაყვანებელი სამშობლოს აღმავლობის, აღმშენებლობის და ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იყო.

ნუთუ ასეთი თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილის, ღირსეული, კეთილშობილი, კეთილსინდისიერი და გულსხმიერი პიროვნების, ღვთისნიერი და ზნეკეთილი ლიდერის სახელობის ქუჩა არ უნდა იყოს თბილისში?!

თანამდებობის დატოვების შემდეგ მან თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, ქალაქის საბჭოს გადასცა 420 კვმ თავისი ბინა. ის კი მოსკოვში პატარა კომუნალურ ბინაში აღესრულა, მაგრამ მისი სურვილით თბილისში დაკრძალეს მეუღლის გვერდით.

განა ცოტა გვყავს ღირსეული და სახელოვანი მამულიშვილი, რომელთა გვარ-სახელები დაამშვენებდნენ ჩვენი დედაქალაქისა და რაიონული ცენტრების ქუჩებს.

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.
ტელ: 599168332

◎ აჭრელებული თბილისი

ფარანჯის დროება

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავისუფალი სამყაროს ნაწილად იქცა და ქვეყანაში უამრავი უცხოეთის მოქალაქის მიმოსვლა დაიწყო (ძირითადად, უამრავ სტუმარს შეხვდებით თბილისსა და ბათუმში), რომელთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთიდანაა. ცხადია, მათ შორის მრავლადაა მანდილოსნები, რომლებიც ფარანჯას ატარებენ.

ჩვენში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსული ქალების სამოსელი — ფარანჯა, საიდანაც მხოლოდ თვალები მოჩანს, საკმაო ინტერესს იწვევს. მისი დანიშნულების შესახებ სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემაში ბევრი საინტერესო რამის ამოკითხვა შეიძლება.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, ფარანჯა ძველ მესოპოტამიაში, ქალღმერთ ასტარტას კულტთან დაკავშირებით წარმოიშვა. ამ ხორციელი სიყვარულის ქალღმერთის პატივსაცემად, თითქოს ყველა ქალი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ ყოფილიყო მეძავი და იმისთვის, რომ სახეზე არ ამოეცნოთ, სახის დაფარვა ასეთი წესით შემოიღეს.

ამასთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ რელიგიის მცოდნეთა განმარტებით, ეგრეთ წოდებული „წმინდა მეძავობა“ უძველეს რელიგიებში მართლაც გავრცელებული იყო. ზოგიერთ ძველ კულტურაში ნამდვილად არსებობდა ხორციელი სიყვარულის ქალღმერთის კულტი, რომელთა ქურუმ ქალებს სამოსელზე საგანგებო ნიშნით გამოარჩევდნენ. მათთან შეხვედრისას ხალხი ხვდებოდა, თუ რომელ ტაძარს ეკუთვნიან ისინი.

მაგრამ, სპეციალისტთა განმარტებით, მუსლიმანურ ფარანჯას ამ ამბავთან საერთო არაფერი აქვს. **ესაა ცხელ კლიმატში მცხოვრები მომთაბარე ხალხის სამოსელი, რომელიც იძულებული იყო თავი მცხუნვარე მზისგან, გავარვარებული ქვიშისგან და აბეზარი მწერებისგან თავი დაეცვა.** თანაც ის თერმორეგულაციისთვისაც იყო საჭირო.

მაშ, თუ ყველაფერი ასეა, რატომ იქცა პრაქტიკული მიზნით შექმნილი სამოსელი სარწმუნოების ერთგვარ სიმბოლოდ და რატომ იცვამენ იმ ადგილებშიც კი, სადაც ადამიანს არც მზე აწუხებს და არც ქვიშა?

— ნებისმიერი რელიგია იმ ქვეყნის ხალხის ტრადიციებს ისრუტავს, სადაც წარმოიშვა. **ფარანჯა** — ხალხმრავალ ადგილას იძლევა საშუალებას თავისიანი უმალ სხვებისგან გამოარჩიოს, — ამბობს პოლიტოლოგიურ მეცნიერებათა სპეციალისტი **ვლადიმერ ბერიშვილი.**

ოთარ ტურაბელიძე

ტაქსების კატეგორიებად დაყოფის სისტემა გუშინ ამოქმედდა

ძალაში შედის ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც ტაქსების A და B კატეგორიებად დაყოფას ითვალისწინებს. A კატეგორიის თეთრი ფერის ტაქსის მძღოლებს უფლება აქვთ, მგზავრები ქუჩაში აიყვანონ. ამ კატეგორიის ტაქსებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩასა და უბანში ყოველგვარი გადასახადის გარეშე ისარგებლონ უფასო პარკინგით. A კატეგორიის ტაქსებს ასევე შეუძლიათ ავტომობილზე სარეკლამო ბანერების განთავსება.

მათგან გასხვავებით, მხოლოდ კომპანიებს მოემსახურებიან და გამოძახებით იმუშავებენ B კატეგორიის ტაქსის მძღოლები. მანქანის ფერთან და საჭესთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში A კატეგორიის ტაქსებისთვის ჯარიმები ამოქმედდება.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლებს უფლება აქვთ, B კატეგორიაში გააგრძელონ მუშაობა 2021 წლის პირველ იანვრამდე.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავის ექვსი ახალი სადგომი გაიხსნა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო ხომალდების ექვსი ახალი სადგომი გაიხსნა. ახალი სადგომები აეროდრომის ტერიტორიის 27 000 კვ.მ. ფართობს მოიცავს. პროექტის ფარგლებში ასევე დამონტაჟდა ახალი განათების სისტემებიც. ახალი სადგომები C კოდის, ანუ შედარებით დიდი ზომის საჰაერო ხომალდებისთვის („ეარბას 320“, 321, 318, 319; „ბოინგ 737“, MD-80 და სხვა) არის გათვლილი.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ჯამში საჰაერო ხომალდის 63 სადგომი აქვს. აეროდრომის ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტში „ტავ ჯორჯიამ“ რვა მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

რა თანხის წარმოდგენას ითხოვს შენგენის ზონის სხვადასხვა ქვეყანა

2017 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლა შეუძლიათ, ევროპის ქვეყნების საზღვრის კვეთისთვის საკმარისია ბიომეტრიული პასპორტი, დასაბრუნებელი ბილეთი, ინფორმაცია საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სამოგზაურო დაზღვევა.

მგზავრობისას თან უნდა იქონიოთ დაგეგმილი ვიზიტის პერიოდში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მტკიცებულებაც. ამისთვის კი რამდენიმე გზა არსებობს, მაგალითად:

- **საბანკო ამონაწერი, უკანასკნელი სამი თვის ტრანზაქციებით;**
- **საკრედიტო ბარათი;**
- **ნაღდი ფული.**

ამასთან, შენგენის ზონაში მგზავრობისას, ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობით განისაზღვრება.

ავსტრია:

ავსტრიაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დასამტკიცებლად კონკრეტული დღიური თანხა განსაზღვრული არ არის. ავსტრია ინდივიდუალურად განიხილავს ქვეყანაში შესვლის ყველა მსურველს.

ბელგია:

ბელგიის საიმიგრაციო ოფისის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, თუ სასტუმროში რჩება — უნდა დაამტკიცოს, რომ დღიურად სახარჯო 95 ევრო აქვს. უფრო იაფად დაბინავების შემთხვევაში — დღიურად 45 ევრო.

გერმანია:

გერმანია ქვეყანაში შესვლის მსურველთაგან დღიურ 45 ევროს წარმოდგენას მოითხოვს.

დანია:

დანიის სამეფოში შესვლის მსურველებს, რომლებიც სასტუმროში აპირებენ დარჩენას, დღიურად სახარჯო 500-მდე დანიური კრონი უნდა ჰქონდეთ. ჰოსტელში დარჩენის, ან უფრო იაფად დაბინავების შემთხვევაში, დანია დღიურად 350 კრონს მოითხოვს. მათთვის ვისაც წინასწარ აქვს ჯავშანი, წარმოსადგენი თანხა კიდევ უფრო მცირდება.

ესპანეთი:

ესპანეთში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა განსხვავდება ვიზიტის ხანგრძლივობისა და ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით. 10 დღემდე ვიზიტისთვის, უცხო ქვეყნის მოქალაქე უნდა ფლობდეს ესპანეთის ეროვნული მინიმალური ხელფასის 90%-ს, ანუ თითქმის 574 ევროს. ყოველ დამატებით დღეზე, ვიზიტორს 71-მდე ევრო უნდა ჰქონდეს გათვლილი.

ესტონეთი:

ყველა უცხოელმა, რომელსაც ესტონეთში შესვლა სურს, უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომ დღიურად 100 ევრო აქვს.

ისლანდია:

ისლანდიის კანონმდებლობის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს დღიურად 4 000 ისლანდიური კრონი უნდა ჰქონდეს. ამასთან, ისლანდიის ტერიტორიაზე ყოველი შესვლისას უცხოელმა 20 000 ისლანდიური კრონი უნდა წარადგინოს.

იტალია:

იტალიაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა განსხვავდება ვიზიტის ხანგრძლივობისა და ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით.

5-დღიანი ვიზიტი — თანხის საერთო ოდენობა თითქმის 270 ევრო ერთ ადამიანზე და თითქმის 213 ევრო ორ და მეტ ადამიანზე.

6-10-დღიანი ვიზიტი — დღიური თანხა 45 ევრომდე ერთ ადამიანზე, ხოლო 26 ევრო ორ და მეტ ადამიანზე.

11-20-დღიანი ვიზიტი — საერთო თანხა ერთ ადამიანზე 52 ევრომდე და თითქმის 26 ევრო ორ და მეტ ადამიანზე; პლუს დღიური თანხა 37 ევროს ოდენობით ერთ ადამიანზე, ხოლო 22 ევრო ორ და მეტ ადამიანზე.

20-დღიანი ვიზიტი — საერთო თანხა ერთ ადამიანზე 207 ევრო, ხოლო 119 ევრო ორ და მეტ ადამიანზე; პლუს დღიური თანხა თითქმის 28 ევროს ოდენობით ერთ ადამიანზე, ხოლო 17 ევრო ორ და მეტ ადამიანზე.

ლატვია:

ლატვიაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა 14 ევროა.

ლიეტუვა:

ლიეტუვაში შესვლის მსურველებმა დღიურად 40 ევრო უნდა გაითვალისწინონ.

ლიხტენშტეინი:

ლიხტენშტეინის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეს დღიური 100 შვეიცარული ფრანკის წარმოდგენა ეკალება.

ლუქსემბურგი:

ლუქსემბურგი თანხის კონკრეტული რაოდენობის წარმოდგენას არ ითხოვს.

მალტა:

მალტაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა 48 ევროა.

ნიდერლანდები:

ნიდერლანდები ქვეყანაში შესვლის მსურველთაგან დღიურად სახარჯო 34 ევროს წარმოდგენას მოითხოვს.

ნორვეგია:

ნორვეგიაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა შეადგენს 500 ნორვეგიულ კრონს, სასტუმროს ხარჯების გარეშე. ამასთან, ეს ოდენობა ოფიციალურად ფიქსირებული არაა და ვიზიტორებს ინდივიდუალურად განიხილავენ.

პოლონეთი:

პოლონეთის რესპუბლიკაში სახარჯო თანხის დღიური ოდენობა განსხვავდება ვიზიტის ხანგრძლივობის მიხედვით და საშუალოდ შეადგენს დღეში 22 ევროს (სასტუმროს ხარჯების გარეშე).

პორტუგალია:

პორტუგალიაში შესვლის მსურველს უნდა ჰქონდეს დღიურად 40 ევროს ოდენობის თანხა. ქვეყანაში ყოველი შესვლის დროს, უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარადგინოს 75 ევრო.

საბერძნეთი:

საბერძნეთში უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომ ქვეყანაში დარჩენის პერიოდში ექნება დღეში 50 ევრო.

საფრანგეთი:

საფრანგეთში შესვლის მსურველთათვის, რომელთაც სასტუმროს ჯავშნის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ, დღიური სახარჯო თანხა 65 ევროა. ჯავშნის არ ქონის შემთხვევაში — 120 ევრო. თუ ადამიანს უფრო იაფი საცხოვრებელი აქვს დაჯავშნილი, ეს თანხა 32,25 ევრომდე მცირდება.

სლოვაკეთი:

სლოვაკეთში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა 56 ევროა.

სლოვენია:

უცხოელმა, რომელსაც სლოვენიის ტერიტორიაზე შესვლა სურს, უნდა წარადგინოს დღიური სახარჯო თანხა 70 ევროს ეკვივალენტი სლოვენურ ტოლარში.

უნგრეთი:

უნგრეთის ტერიტორიაზე ყოველი შესვლისას უცხო ქვეყნის მოქალაქემ თან უნდა იქონიოს 1 000 უნგრული ფორინტი.

ფინეთი:

ფინეთის რესპუბლიკაში ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების დღიური ოდენობა 30 ევროა.

შვედეთი:

შვედეთის ტერიტორიაზე შესვლის მსურველმა უცხოელმა უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომ აქვს დღიური სახარჯო თანხა 450 შვედური კრონის, ან 48 ევროს ოდენობით.

შვეიცარია:

შვეიცარიის კონფედერაციაში ფინანსური სახსრების დასამტკიცებლად დღიური თანხის დღიური ოდენობა შეადგენს 100 შვეიცარიულ ფრანკს. სტუდენტების შემთხვევაში ეს თანხა 30 შვეიცარულ ფრანკამდე მცირდება.

ჩეხეთი:

ჩეხეთის რესპუბლიკაში ფინანსური მდგომარეობის დასადასტურებლად უცხო ქვეყნის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს დღიურად 1 100 ჩეხური კრონი.

მოგზაურობის დაგეგმვამდე, დაუკავშირდით იმ ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს, სადაც გამგზავრებაც გსურთ და ითხოვეთ განახლებული მონაცემები.

ევროკავშირში უმუშევრობის დონე 11-წლიან მინიმუმზეა

უმუშევრობის დონემ 7,4% შეადგინა. ინფორმაციას ევროსტატი აქვეყნებს. ევროკავშირის ქვეყნებს შორის უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია ჩეხეთში — 2,0% და გერმანიაში 3,1%.

ნიდერლანდებში, რუმინეთსა და ბულგარეთში უმუშევრობის დონე 4%-ის ფარგლებშია. საფრანგეთში 8,5% უტოლდება, იტალიაში კი 9,5% შეადგენს.

ევროკავშირში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საბერძნეთშია — 17%. ევროკავშირში ჯამში 15 მილიონ 432 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი არ მუშაობს.



შეტაკება მიგრანტების ბანაკში

საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე მიგრანტების ბანაკში შეტაკების დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ლტოლვილებსა და საბერძნეთის პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.მორიას ბანაკში ამჟამად 12 000 მიგრანტი ცხოვრობს. ქვეყნის ხელისუფლებამ კუნძულზე წესრიგის დასამყარებლად უსაფრთხოების დამატებითი ძალები გაგზავნა. გასულ თვეში თურქეთიდან საბერძნეთში 9 000 მიგრანტი ჩავიდა, სექტემბერში კი 8 000.

ბირთვულ შეთანხმებაში დაბრუნების სანაცვლოდ

ბირთვულ შეთანხმებაში დაბრუნების სანაცვლოდ, ირანი ამერიკის შეერთებული შტატებისგან 50 მილიარდ დოლარს ითხოვს.

ირანის გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის საბჭოს მდივნის მოხსენ რეზაის განცხადებით, ვაშინგტონმა თეირანს აღნიშნული თანხა სანქციებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების სახით უნდა გადაუხადოს.

ირანელი მაღალჩინოსნის თქმით, ბირთვული შეთანხმების აღდგენის ერთ-ერთი მთავარი პირობა ასევე არის ხელშეკრულებაში აშშ-ის დაბრუნება. მოხსენ რეზაიმ ასევე აღნიშნა, რომ თუ 2020 წელს დონალდ ტრამპს პრეზიდენტად არ აირჩევენ, ამ შემთხვევაშიც კი გაურკვეველია, მოისურვებს თუ არა ვაშინგტონი ბირთვულ შეთანხმებაში დაბრუნებას.

ვაშინგტონს და თეირანს შორის ურთიერთობები მას შემდეგ გამწვავდა, რაც 2018 წლის 8 მაისს დონალდ ტრამპმა ბირთვული შეთანხმებიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო და ირანს სანქციები დაუწესა.

უდიდესი აღლუმი ჩინეთში

პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ქვეყნის ისტორიაში უდიდესი სამხედრო აღლუმი გაიმართა. ამის შესახებ Deutsche Welle წერს.

ცერემონიაში 15 000 ჯარისკაცი, 150-ზე მეტი თვითმფრინავი, 580 ტანკი და სხვა სამხედრო ტექნიკა მონაწილეობდა. აღლუმი ჩინეთის ლიდერმა სი ცზინპინმა ჩაიბარა.

მაჩუ-პიქჩუს უცნაური ადგილ-მდებარეობის საიდუმლო

რამდენად მშვენიერიც არ უნდა იყოს მაჩუ-პიქჩუ, მასთან მისვლა არც ისე იოლია. უძველესი ქალაქი გაშენებულია ანდების მთებში, ფრიალო კლდეებზე, სამი მხრიდან გარს უვლის მდინარე ურუბამბი. მეცნიერები ფიქრობენ, რომ როგორც იქნა, საბოლოოდ გაარკვიეს, რატომ შეარჩიეს ინკებმა ქალაქის ასაშენებლად ეს ადგილი.

ძაღლის თავი შესაძლოა, ინკების სახელგანთქმული ქალაქის სიღრმეში მარხია, ნაპრალებში სადაც ტექტონიკური ფილები ერთმანეთს ხვდებიან. მილიონობით წლის განმავლობაში, ამ ნაპრალებმა დიდი ოდენობით ქვა წარმოქმნა, რაც ინკებმა სამშენებლო მასალად გამოიყენეს.

მაჩუ-პიქჩუს შენობებსა და ტაძრებში გამოყენებული ქვები იმდენად კარგადაა ერთმანეთში ჩასმული, რომ შეერთების ადგილას ნაპრალები არ არის, ინკებს კირხსნარიც კი არ გამოუყენებიათ. იმის გამო, რომ ამ ადგილას ქვები უხვად იყო, ცხადია, დაიზოგებოდა დრო. ბრაზილიის რიუ-გრანდი-დუ-სულის უნივერსიტეტის გეოლოგის, რუალდო მენეგატის განცხადებით, ადგილმდებარეობა შემთხვევითი არ არის. მისივე თქმით, მაღალ მთებში ასეთი ძეგლის აშენება შეუძლებელი იქნებოდა, თუ იქ არ იარსებებდა კლდის ნამსხვრევები, ანუ ლოდები.

თანამგზავრული ფოტოებისა და ადგილზე შეგროვებული მონაცემების შეჯერების შემდეგ, მენეგატმა და მისმა კოლეგებმა ინკების უძველესი ციტადელის ქვეშ ნაპრალები შენიშნეს. ზოგიერთი ნახეთქის სიგრძე 175 კილომეტრს აღწევს.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ მაჩუ-პიქჩუ გაშენებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გადაჭიმული და ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმავალ ნაპრალთა შეხვედრის წერტილში. მკვლევართა დასკვნით, ზუსტად ასეთ ადგილებზეა გაშენებული ინკების სხვა ქალაქებიც, მათ შორის ოლიანტაიტამბო, პისაკი და კუსკო.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაჩუ-პიქჩუს შენობებისა და კიბეების გარკვეული ნაწილი პირდაპირ ნაპრალებზეა დაშენებული. მენეგატის განცხადებით, ძეგლის განლაგება ცხადად ემთხვევა მისი საძირკვლის დანაწევრებას.



მხოლოდ ქვების სიუხვემ როდი აიძულა ინკები ეს მშვენიერი ქალაქი მთის ქედზე, ზღვის დონიდან 2430 მეტრზე აეშენებინათ. ნაპრალები, რომლებმაც ქვები წარმოქმნა, ასევე ქმნის ბრწყინვალე სადრენაჟო სისტემას.

ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი წვიმის შტორმების დროს, ეს ფაქტორი ქალაქის მცხოვრებლებს დიდად უნდა დახმარებოდა გამანადგურებელი წყალდიდობების თავიდან აცილებაში. სწორედ ეს უნდა იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ მაჩუ-პიქჩუმ ჩვენამდე ასე ბრწყინვალე სახით მოაღწია და წელიწადში 1,5 მილიონ მნახველს მასპინძლობს. ინკების შესახებ ბევრი რამ დღემდე იდუმალებით არის მოცული. მათ შორის, არ ვიცით ამ ცივილიზაციის წარმოშობა, რომელიც სამხრეთ ამერიკაში XIII-XVI საუკუნეებში არსებობდა. სამაგიეროდ, ვიცით, რომ ისინი უბადლო მშენებლები იყვნენ, სხვა უძველეს ხალხთა მსგავსად. მათ მიერ შექმნილი შედევრი ნაგებობები დღესაც ბევრ რამეს გვასწავლის მშენებლობის შესახებ.

მომზადებულია geosociety.org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

უზარმაზარი ტაძარი... ჩაძირულ ქალაქში

ძველი ეგვიპტის ქალაქი ჰერაკლიონი ერთ დროს ფუსფუსა სავაჭრო ნავსადგური იყო. ამჟამად ის ხმელთაშუა ზღვაში, 45 მეტრ სიღრმეზეა ჩაძირული. ცოტა ხსნის წინ, მყვინთავებმა ჩაძირულ ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს მას შემდეგ, რაც ოცი წლის წინ ეს ქალაქი იპოვეს.

ერთ-ერთი წყალქვეშა ექსპედიციის დროს, ეგვიპტელმა და ევროპელმა ექსპერტებმა დიდი ტაძრის მნიშვნელოვან ნაშთებს მიაგნეს, იქვე აღმოაჩინეს ძვირფასეულობითა და მონეტებით დატვირთული გემები. არქეოლოგთა აზრით, ეს უნდა იყოს ჰერაკლიონის მთავარი ტაძრის ქვის სვეტები და პატარა ბერძნული ტაძრის ნაშთები.

დიდი ოდენობით განძეული მიუთითებს, კიდევ რამდენ საიდუმლოს ფლობს ეს მომაჯადოებელი ქალაქი, რომელიც ათასობით წლის განმავლობაში დალექილი ტალახისა და სხვადასხვა დეპოზიტების საბურველშია გახვეული.

აღმოჩენა შესაძლებელი გახდა სკანირების დახვეწილი ხელსაწყოების საშუალებით, რომლებსაც ზღვის ფსკერზე და მის ქვეშაც კი შეუძლია ობიექტების შემჩნევა.

თანამგზავრებიდან მიღებული გეოფიზიკური მონაცემების, ექო ზონდების, ბირთვული მაგნიტური რეზონანსის მაგნიტომეტრებისა და სკანირების ხელსაწყოების მონაცემთა შეჯერების საფუძველზე, მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა ჰერაკლიონის სიახლოვეს განთავსებულ ნავსადგურთა ჯგუფი, რომელიც აქამდე შეუმჩნეველი იყო. ამ ყველაფრის გარკვევის შემდეგ, არქეოლოგიური მყვინთავები წყალში ჩაეშვნენ, რათა ეს ობიექტები უშუალოდ ეხილათ. გარდა ტაძრებისა, მყვინთავებმა მიაგნეს ფარაონ პტოლემე II-ის ეპოქის (ძვ.წ. 283-246) ბრინჯაოს მონეტებს, კერამიკას,



იუვილერიას, გემებში მოთავსებულ სხვადასხვა შემნახველ ჭურჭელს.

არქეოლოგებმა ასევე იპოვეს ბიზანტიური ეპოქის მონეტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქი დასახლებული იყო სულ მცირე ძვ. წ. მეოთხე საუკუნიდან.

მნიშვნელოვანი აღმოჩენები გაკეთდა ახლომდებარე კიდევ ერთ ჩაძირულ ქალაქ კანოპუსშიც. მათ შორის არის პტოლემეებისა და ბიზანტიის პერიოდების მონეტები, პტოლემეების ეპოქის ბეჭდები და საყურეები.

ჰერაკლიონი მდინარე ნილოსის ნაპირებზე ძვ. წ. მერვე საუკუნეში დაარსდა. ეს სახელი ეწოდა ლეგენდის გამო, რომლის მიხედვითაც, ქალაქს ერთხელ გმირი ჰერაკლე სტუმრობდა. ჰერაკლიონს არაოფიციალურად ეგვიპტის ატლანტიდასაც უწოდებენ.

მკვლევართა განცხადებით, ახალი აღმოჩენები კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ქალაქების სილამაზესა და დიდებაზე, მათი დიდი ტაძრების ბრწყინვალეებასა და ისტორიულ მტკიცებულებათა სიუხვეზე.

უცნობია, როგორ აღმოჩნდა ქალაქი წყალქვეშ, მაგრამ მეცნიერთა ვარაუდით ამის მიზეზი უნდა გამხდარიყო ზღვის დონის მატება, სეისმური აქტივობა და ქანების არამდგრადობა, რის გამოც, ჰერაკლიონი დაახლოებით 1000 წლის წინ ხმელთაშუა ზღვის ქვეშ აღმოჩნდა. ამ დროისთვის ჰერაკლიონის მხოლოდ ხუთი პროცენტია აღმოჩენილი.

მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

„ჩონჩხების ტბა“

ინდოეთში, ჰიმალაის მთების სიღრმეში, თოვლით დაფარულ მწვერვალებს შორის ერთი დიდი საიდუმლო იმალება. რუპკუნდის ტბა თავთხელი წყალსატევია, რომელიც ადამიანის ძვლებით არის სავსე; წყალში ასობით ადამიანის ჩონჩხია მიმოფანტული. ამის გამო, მას ხშირად „ჩონჩხების ტბასაც“ უწოდებენ, მაგრამ არავინ იცის, როგორ აღმოჩნდა იქ ადამიანთა ძვლები.

ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ხალხის დიდი ჯგუფი რაღაც დიდმა კატასტროფამ, მაგალითად მძლავრმა შტორმმა იმსხვერპლა. თუმცა, ეს იდეა სრულიად გააცამტვერა 38 ჩონჩხის დნმ-ის ანალიზებმა.

როგორც ირკვევა, ჩონჩხები სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებს ეკუთვნის, მათ შორის არის ხმელთაშუა ზღვის აუზის ბინადართა ძვლებიც; გარდა ამისა, ნათელი ხდება, რომ ტბაში ჩონჩხები დაახლოებით 1000 წლის განმავლობაში იყრიდა თავს.

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის გენეტიკოსის დევიდ რეიჩის განცხადებით, დნმ-ის ბიომოლეკულური ანალიზების, კვების რაციონის სტაბილური იზოტოპური რეკონსტრუქციისა და რადიონახშირბადული დათარიღების შედეგად დადგინდა, რომ რუპკუნდის ტბის ისტორია იმაზე გაცილებით კომპლექსურია, ვიდრე ვარაუდობდნენ.

ამბავი დაახლოებით ათი წლის წინ დაიწყო. ინდოეთის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის CSIR ცენტრის გენეტიკოსმა კუმარასამი თანგარაჯმა 72 ჩონჩხის მიტოქონდრიული დნმ-ის სეკვენსირება შეძლო.

როგორც თანგარაჯი და მისი კოლეგა ლალჯი სინგჰი ვარაუდობდნენ, ზოგიერთ ჩონჩხს ადგილობრივი ინდური წარმოშობის შესაფერისი დნმ ჰქონდა, მაგრამ ზოგს არა. ზოგიერთი ჩონჩხი დასავლეთ ევრაზიული წარმოშობის აღმოჩნდა.

აღმოჩენა დამატებით კვლევებს მოითხოვდა — წყალში ღრმად ჩასვლას სრული გენომის ასაღებად. გენომის დონის დნმ წარმატებით აიღეს 38 ინდივიდიდან. ამის შემდეგ, ეს 38 გენომი შეადარეს 1521 ძველი და 7985 თანამედროვე ინდივიდისას მთელი მსოფლიოდან.

ანალიზებმა სამი სხვადასხვა ჯგუფი გამოავლინა. მათ შორის უდიდესი შედგებოდა 23 ინდივიდისგან, რომელთა დნმ თანამედროვე ინდოეთში მცხოვრებთა მსგავსი იყო. გარდა ამისა, ისინი გენეტიკურად დაკავშირებული არ იყვნენ.

უდიდესი სიურპრიზი აღმოჩნდა 14 ინდივიდისგან შემდგარი მეორე უდიდესი ჯგუფი. მათი დნმ ყველაზე მეტად ჰგავდა თანამედროვე კრეტისა და ზოგადად, საბერძნეთის მოსახლეობისას.

ერთი დარჩენილი ინდივიდის დნმ კი სამხრეთაზიურ წარმოშობაზე მიუთითებდა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ევოლუციური ბიოლოგის ეადაო-ინ ჰერნის განცხადებით, ეს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმოშობის ჩონჩხების აღმოჩენის ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ რუპკუნდის ტბა მხოლოდ ადგილობრივი ინტერესის საგანი კი არ იყო, არამედ მნახველებს მთელი მსოფლიოდან იზიდავდა.

აღმოჩენას ადასტურებს ძვლებიდან აღებულ იზოტოპთა ანალიზებიც. ნიადაგში არსებული გარკვეული იზოტოპები მცენარეებში ხვდება, რომლებსაც შემდეგ ადამიანები ჭამენ. ეს იზოტოპები შემდეგ ანაცვლებს ძვლებსა და კბილებში არსებული კალციუმის გარკვეულ წილს; შედეგად, შესაძლებელია გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დადგენაც.

არქეოლოგ აუში ნაიაკის განცხადებით, ინდოეთთან დაკავშირებულ ინდივიდებს ძლიერ ცვალებადი კვების რაციონი ჰქონდათ. ჩანს კავშირი C3 და C4-სგან მიღებული საკვების წყაროებთან. ეს აღმოჩენა კარგად ეთანხმება გენეტიკურ მტკიცებულებებს, რომელთა მიხედვითაც, ისინი სამხრეთ აზიის სოციოეკონომიკურ ჯგუფთა ნაირსახეობას მიეკუთვნებოდნენ.

ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმოშობის ინდივიდთა კვების რაციონში ძალიან ცოტა იყო ფეტვი.

კიდევ უფრო გასაკვირი აღმოჩნდა ამ ჯგუფების მოსვლის სხვადასხვა დროები. რადიონახშირბადული დათარიღების შედეგად ირკვევა, რომ ინდური წარმოშობის ძვლები ტბაში ახ. წ. VII-X საუკუნეებშია მოხვედრილი. შესაძლოა, ისინი სხვადასხვა ჯგუფებსაც ეკუთვნოდნენ და დროის ამ პერიოდში ტბაში სულ სხვადასხვა დროს მოხვდნენ.

თუმცა დანარჩენი ორი ჯგუფი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან და სამხრეთ აზიიდან, ტბაში ახ. წ. XVII-XX საუკუნეებშია მოხვედრილი, სულ რამდენიმე ასეული წლის წინ. შესაძლოა ისიც, რომ ჯერ შეუსწავლელი ჩონჩხები სულ სხვა დროსა და რეგიონებს ეკუთვნის.

მეცნიერთა განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, რამ მიიყვანა ეს ადამიანები რუპკუნდის ტბასთან, ან რა გახდა მათი სიკვდილის მიზეზი.

კვლევა ჟურნალ Nature Communications-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია shh.mpg.de-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

◎ ჭადრაკი

არაბიძე პირველია

თელავში **დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი — საქართველოს ნაკრების წევრების ლელა ჯავახიშვილისა და ბელა ხოტენაშვილის სახელობის თასი გათამაშება.** სამდღიან შეჯიბრებაში ოთხი ქვეყნის 10 წარმომადგენელი მონაწილეობდა წრიული სისტემით. ცხრა შესაძლებლობიდან შვიდი ქულით ყველას **მერი არაბიძემ** აჯობა — მან ხუთი პარტია მოიგო და ოთხში კონკურენტებს დაუზავდა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ **ნანა ძაგნიძე** და **ლელა ჯავახიშვილი,** რომლებმაც დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ნინო ბაციაშვილი (5.5), ბელა ხოტენაშვილი (4,5), ანა მათნაძე (ესპანეთი, 4.5), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია, 3.5), სალომე მელია (3.5), ქეთი წაწალაშვილი (2,5), ნინო მაისურაძე (საფრანგეთი, 2 ქულა).

„ნონას თასი“ სომხებს ერგოთ

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებულ ნონა გაფრინდაშვილის თასის ტრადიციულ გათამაშებაში (შეჯიბრების საპრიზო ფონდი — 50.000 ლარი) ცხრა ქვეყნის 48 წარმომადგენელი იბრძოდა. თბილისის ჭადრაკის სასახლეში ბოლო ტურის წინ პირველ ადგილზე გასვლის შანსი ერთბაშად რამდენიმე მოჭადრაკეს ჰქონდა. **ტიგრან ჰარუტიუნიანმა** (სომხეთი)შავი ფიგურებით ბაჩანა მორჩიაშვილს აჯობა და 7 ქულით მთავარი პრიზი — ნონას თასი მოიპოვა. 6.5-6.5 ქულით, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები **ჰოვიკ ჰაირაპეტიანმა** (სომხეთი) და **ლევან ფანცულაიამ** გაინაწილეს.

ქალებში 6 ქულით სომეხმა ანა სარგსიანმა გაიმარჯვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ნინო ხომერიკი, 5-5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები აზერბაიჯანის ნაკრების წევრმა **ტურკან მამედიაროვამ** და ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ნატალია ჟუკოვამ** (უკრაინა) გაიყვეს.

◎ კიკბოქსინგი

ორთაბრძოლები ღია ცის ქვეშ

საძართველოს, თურქეთის, ირანის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის 80 წარმომადგენელი მონაწილეობდა ურეკში ტრადიციულ ტურნირში ღია ცის ქვეშ უნივერსალურ საბრძოლო სპორტსა და კიკბოქსინგში.

— „მსოფლიოს თასი 2019“ — ასე ერქვა წლევანდელ ჩვენს შეჯიბრებას, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი, — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **სოსო დოლიძემ.** — ასპარეზობა ამჯერადაც ფედერაციის ბაზაზე ჩატარდა. სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები და პრიზიორები ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ. ჯილდოებისთვის ბრძოლაში ცხრა ქართველი სპორტსმენი ჩაება. 13-წლამდელებში ყველას აჯობა თბილისის 75-ე სკოლის მოსწავლე **სოსო ოქროპირიძემ** (58 კგ), რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა. პროფესიონალებში ჩემპიონი გახდა შეიარაღებული ძალების კაპრალი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **თეიმურაზ ღლონტი** (სენაკი, 67 კგ). 70 კილოში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ურეკელი **ნიკა სარიშვილი.**

საქართველოს ნაკრების წევრებმა კიდევ ორი მედალი დაიმსახურეს: 40 კილოში გადამწყვეტი ორთაბრძოლა ირანელ სპორტსმენთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა **დავით არაგი ისმაილოვი** (თბილისი), ხოლო 45 კილოში **დავით გოზალიშვილმა** (თბილისი) მესამე ადგილი დაიკავა.

◎ ნარდი

რიყეზე თბილისის თასი გათამაშდება

დედაქალაქის ნარდის ფედერაციის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა თბილისის 2019 წლის ჩემპიონატი ნარდში. პრიზიორები გამოვლინდა სამ სახეობაში. ნარდის ოსტატთა შორის თბილისის ჩემპიონობა ვლადიმერ ხარხელაურმა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე ვახტანგ შანიძე და ლევან ქარელი გავიდნენ.

ქალებში თბილისის ჩემპიონი გახდა **ეკატერინე ძანძავა.** ფინალში მან გულიკო ბუჩუკურს მოუგო. მე-3 ადგილი **ლალი ქურციკიძეს** ხვდა. მოყვარულთა ფინალურ რაუნდში 32 მონარდე იბრძოდა პირველობისთვის. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დემურ მაღლაკელიძე, 2. შოთა რევიშვილი, 3. თეიმურაზ ქურციკიძე.

5 და 6 ოქტომბერს „თბილისობა 2019-ის“ პროგრამით რიყეზე დედაქალაქის თასი გათამაშდება.

◎ ნახევარმარათონი

უგანდელმა თბილისში გაიმარჯვა

57 ქვეყნის 2672 წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისის საქველმოქმედო მერვე მარათონში, რომელიც „ჰაიდელბერგ-ცემენტის“ ინიციატივით გაიმართა. რამდენიმე წელიწადია, ეს ორგანიზაცია რეგისტრაციიდან შემოსულ თანხას აორმაგებს და მთლიანად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ან მოხუცთა თავშესაფრებს ურიცხავს. წლევანდელი ნახევარმარათონის თანხა ძეგვის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფარს გადაეცა.

შეჯიბრების მონაწილეთაგან ზოგმა 21, ზოგმაც 10 კილომეტრზე ირბინა. მოასპარეზეთა შორის 2 ეტლით მოსარგებლე და 500 მოზარდიც იყო. რბენა პირველ გიმნაზიასთან დაიწყო და დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების გავლით იქვე დასრულდა. ფინიშის ხაზი 1673-მა მონაწილემ გადაკვეთა.

გაუწყებთ პრიზიორთა ვინაობას: **ნახევარმარათონი. ვაჟები.** 1. ისმაილ სენიანგე (უგანდა, 1 სთ და 08.06 წუთი), 2. ბაზარბი დაუტალიევი (ყაზახეთი, 1:13.03), 3.გიორგი ლომიძე (საქართველო, 1:16.01), 4. ლევან ჩოხელი (საქართველო, 1:16.25), 5. ჯანლუკა პროლეტო (იტალია, 1:18.14), 6. ირაკლი ჯანაშია (საქართველო, 1:18.43); **ქალები.** 1. ირინა ლაპიცკაია (რუსეთი, 1:23.01), 2. მარია რადკო (უკრაინა, 1:23.17), 3. ტატიანა ბელოვიელი (ბელარუსი, 1:27.49), 4. ანა იუსუპოვა (აზერბაიჯანი, 1:29.11), 5. ინესა ვარდანიანი (სომხეთი, 1:33.04), 6. ანამარია ადეიშვილი (საქართველო, 1:34.27); **10 კილომეტრი: ვაჟები.** 1. გიორგი შეყრელიძე (35. 44.03), 2. იმედა ბაძგარაძე (35.44.04), 3. ჟორჟ მანველიანი (სამივე — საქართველო, 35.50.07); **ქალები.** 1. ძებან ოლექსანორა (41.57.06), 2. გალინა ჩეტვერკოვა (ორივე — რუსეთი, 43.02.07), 3. გაიანე უსტიანი (საქართველო, 43.32.02).

◎ სტუმარი

სპორტის უნივერსიტეტმა მორიტას უმასპინძლა

იაპონიის საზოგადოებრივი მაუწყებლის — NHK World-ის ახალი ამბების წამყვანი და სხვადასხვა პროგრამის კორესპონდენტი, სუმოს ბაშოს კომენტატორი ჰირო მორიტა სამი დღეა, თბილისში იმყოფება — იგი ჩვენთან იაპონიის ეროვნულ ჭიდაობაზე ლექციების ჩასატარებლად ჩამოვიდა. პირველად იგი სპორტის უნივერსიტეტს ეწვია. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ბოჟაძემ სტუმარი დარბაზში მყოფ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, საქართველოს სამოყვარულო სუმოს წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს წარუდგინა, თან დასძინა, რომ ქართველები სუმოში კარგად ვართ გათვითცნობიერებული, მაგრამ 1500 წელზე მეტი ხნის ისტორიის მქონე სპორტის ეროვნულ სახეობაზე იაპონელი სპეციალისტის მონათხრობი მაინც განსაკუთრებულია. ჩვენს უნივერსიტეტს იაპონიის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს და მსგავს ღონისძიებებს კიდევ გავმართავთო. შემდეგ სიტყვა მორიტას გადასცა, რომელმაც ილაპარაკა სუმოს ისტორიაზე, წარმატებულ იაპონელ და უცხოელ სუმოისტებზე, განსაკუთრებული ყურადღება ქართველებზე გაამახვილა. დამსწრეთ აჩვენა სუმოს ისტორიისა და სპორტსმენთა ორთაბრძოლების საინტერესო კადრები. უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

— ასე სავსე დარბაზი და მერე — როგორი ინტერესი და ემოცია. — შეხვედრის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდა სტუმარი. — სუმოს ნიუანსების ღრმა ცოდნით გამოირჩევით ქართველები. მეუბნებოდა კიდეც ჩემი მეგობარი გაგამარუ, რომელთანაც ერთად არაერთხელ დამილევია, საქართველოში საოცრებას ნახავო. ძალიან მომეწონა თბილისი, სტუმართმოყვარე ხალხი, შეუდარებელი სამზარეულო და ღვინო. მომავალში აუცილებლად დიდი ხნით გეწვევით...

ჰირო მორიტას გუშინ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უმასპინძლა.

◎ ხელბურთი

„კუმანოვო“ ლიდერთა შორისაა

მაკედონიის ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ „კუმანოვოს“ ღირსებას საქართველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების წევრი მედეა ჩოხელიც იცავს. მისმა გუნდმა EHF-ის თასზე წარუმატებლად ითამაშა. მართალია, ორ მატჩში ჩვენებურმა 13 ბურთი გაიტანა, მაგრამ „კუნამოვოს“ მაინც ვერ უშველა — პრაღის „სლავიასთან“ ორრაუნდიან პაექრობში დამარცხდა. სამაგიეროდ, მაკედონიის ჩემპიონატში ორი შეხვედრა მოიგო: ჯერ „დესპინას“ აჯობა — 31:22, შემდეგ კი შინ უფრო დიდი სხვაობით „სტრუჟანკაა“ მოუგო — 36:22. ჩოხელმა ამ ორ მატჩში 8 გოლი მიითვალა.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობენ მაკედონიური ხელბურთის ლიდერები — „ვარდარი“ და „მეტალურგი“, დებიუტანტი „ჩაირი“ და „კუმანოვო“. მესამე ტური 5 ოქტომბერს გაიმართება.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„ტფილისსა პირას ყოფილა სავარდენი მრავალნი“

რუბრიკის **მკითხველს გავაცანი თბილისის უძველესი უბნების ისტორია. ჰოდა, მოით ეხლა, მოგაქუჩებთ და მოგითხრობთ იმ უბნებზე, რომელი უბნებიც მხოლოდ XX საუკუნიდან შემოიერთა ჩვენმა თბილის-ქალაქმა. თავიდანვე გეტყვით, რომ ზოგი უბნის ისტორია იქნება მწირი, მწირი ისტორიული ცნობებისა და გამო, თუმცა ზოგ უბანზე საინტერესო ლეგენდას გიამბობთ და ამას გპირდებით.**

მაშ ასე, ვიწყებ.

* * *

„... ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის... გამოსდის წყალი... ხოლო მას ქვევით მტკვრამდე უწოდებენ აწ ლოჭინსა ... ძველად... ომანის ხევი...“

ლოჭინი ეს დღევანდელი სამგორი გახლავთ და ეხლა ერთ ლეგენდას გიამბობთ — უძველს დროს ტფილისთან ახლოს ერთი მოხუცი ცხოვრობდა სამ ვაჟთან და შველთან ერთად. მოხუცი მტრის მოახლოებას მაღალ სვეტზე ცეცხლის ანთებით ატყობინებდა ქალაქს. მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა მტერი ისევ გამოჩნდა, უფროსი ძმა ჩირაღდნით ხელში სვეტზე ავარდა, მაგრამ მტრის ისარმა უსულოდ დასცა იგი მიწაზე. იგივე ბედი ერგო მეორე ძმას; მესამე ძმამ კი ქალაქში შველი აფრინა წერილით. ქალაქმა მტრის შემოსევა დროზე შეიტყო და ლაშქარი სწრაფად შეჰკრიბა.

ბრძოლიდან დაბრუნებულმა მეომრებმა მესამე ძმაც მოკლული იპოვნეს. სამივე ცალ-ცალკე დაასაფლავეს და საფლავებს სათითაოდ მუჭით მიწა მიაყარეს. მას შემდეგ წესად შემოიღეს — ყოველი ბრძოლის შემდეგ მეომრები აქ მოდიოდნენ, საფლავებს მუჭით მიწას აყრიდნენ...

და ასე წამოიზარდა ქალაქისპირას სამი გორა, რომელსაც შემდგომ სამგორი ეწოდა.

* * *

„... ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი... არს უწყლო ... მოსავლიანი ...“ — დიდუბე პირველად XII საუკუნის წყაროებში გვხვდება, სადაც მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარმა და დავით სოსლანმა **„დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი“** და სადაც **„ნადიმობა გაიმართა, მოიწვია თავის ჯარი; / ასი სული ცხვარი დაკლა / და ორასი ნიშა ხარი, / ლურჯი სუფრა გაუშალა, / იქნებოდა ასი მხარი, / ქვრივ-ობლებსა უწყალობა / ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი“.**

მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ თამარის შემდგომ დიდუბე მალე გაუკაცრიელდა ...

1872 წელს ტფილისსა და ფოთს შორის რკინიგზა გაიხსნება, რასაც დიდუბის ტერიტორიის ორ ნაწილად გაყოფა მოჰყვება და ამბობენ, სწორედ რკინიგზის გაღმა დასახლებულან უნებართვოდ და სახელწოდება ნაძალადევი ამ დროიდან მოდისო; ჰო, იმასაც ამბობენ, სტალინმა რევოლუციური საქმიანობა ნაძალადევიდან დაიწყოო, მაააშ...

* * *

„... არს ველი საბურთალისა ... უნაყოფო არს ... ზეით არს ტბა ლისისა ... კეთილი აგარაკი და შუენიერი ყოვლითა ...“ — თურმე მშვიდობიანობის ჟამს ქართველი მეომრები ხშირად გადიოდნენ ქალაქისპირა ფართოდ გაშლილ ადგილს, სადაც ბურთაობდნენ და ეს ბურთაობა არც მეტი, არც ნაკლები თამარის დროს დაწყებულა. ჰოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — სახელწოდება საბურთაო თვით მეფეთ მეფის დროიდან მოდისო, ამბობენ.

* * *

„... მტკურის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა... აწ სონღალუღი... ნაყოფიერი ყოვლითა...“ — სონღალუღი ეს დღევანდელი ფონიჭალა გახლავთ, რომელიც ამილახვართა კუთვნილება ყოფილა ერთ დროს, სადაც განჯის საქარავნო გზა გადიოდა და ამიტომ გზის საკონტროლოდ ერეკლე II-ს ციხე-გალავანი აუშენებია (ჩვენამდე ვერ მოაღწია, სამწუხაროდ). ამბობენ, „სონღუღი“ თურქული სიტყვაა და რომელიღაც მტაცებელი ფრინველის სახელიდან მოდისო. სხვათაშორის, იმასაც ამბობენ, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში სონღალუღი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა დახვრეტის საიდუმლო ადგილი ყოფილაო...

* * *

„... ტფილისს სამ□რით არს □ობა დიღმისა ... ვენახოვანნილიანი... არს ველი დიდი დიღმისა ... ბალახოვანი — ცხოვართა და ზროხათა სიმრავლენი ... მას ზეით მუხათ-გუერდი ...“ თქმულების მიხედვით, დავით აღმაშენებელი ერთ-ერთ ბრძოლიდან გამარჯვებული ტფილისს ბრუნდებოდა, როს შემოაღამდა და დიღომთან ახლოს ჯარი ღამით მინდორს დაასხაო. დილით მეფეს ცაზე გამოსახული ჯვარი უნახავს, „ვაშა, ჯვარიო!“ — შესძახა და ადგილს მას შემდეგ ვაშაჯვარი ეწოდა და დროთა განმავლობაში კი ვაშლიჯვარიო.

ჰო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ტფილისთან ახლოს ერთ ბაღში ვაშლის ხეები დიდი ჯვრის ფორმას ქმნიდნენ და სახელი ვაშლიჯვარი აქედან მოდისო.

* * *

„... ტფილისის სამ□რ-აღმოსავლით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი... მრავალი არ იღების ... არს ლილო... უმდინარო... ტბანი არიან მცირენი და უთევზონი ... სხდების წერო და ბატი მრავალი ...“

მოკლედ, ტფილისსა პირას ყოფილა — **„... სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყუავილითა სავსე ... ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშუენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა ...“** თავად ტფილისი კი — **„... ჰავითა არს მშუენი და მხიარული, ერნი შუენიერნი და მშ□დნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი ...“** — ვახუშტი ბატონიშვილი („აღწერა ტფილისისა“, XVIII ს.).

◎ **დღე ბედნიერი**

გულგაშლილი სიცოცხლის ქალაქი

„თბილისობა 2019“ 5-6 ოქტომბერს გაიმართება

5-6 ოქტომბერს „თბილისობა 2019“ გაიმართება. საზეიმო ღონისძიებებისთვის უკვე შერჩეულია ადგილმდებარეობები — რიყე, ლელვთახევი, მეტეხის ხიდი, ევროპისა და ორბელიანის მოედნები.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, **თბილისობის წლევანდელი პროგრამა განახლებულია და მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს.** ღონისძიებებს შორის იქნება საბავშვო კონცერტები და ატრაქციონები; კულინარიის, ტკბილეულისა და ყვავილების ფესტივალები; კოსტიუმირებული მსვლელობები და სპორტული აქტივობები; **„მულტიეთნიკური თბილისი“** რიყეზე; **ორბელიანის ღია ბაზარი;** პროექტი **„გვიდირიჟორე“;** თბილისთან დაძმობილებული ქალაქების პავილიონები; მუსიკალური წარმოდგენები და სხვა. **ლელვთახევში** მოეწყობა **„მუზეუმი ღია ცის ქვეშ“,** სადაც წარმოდგენილი იქნება პროექციია კლდეზე: ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ვიდეოები, ცნობილი ფერწერული ნამუშევრები და ა.შ. ამ ადგილის დათვალიერებისას ინსტალაციის შესაბამისად შეიცვლება მუსიკა და გამოსახულება.

მეტეხის ხიდზე კი სპორტული და რარიტეტული ავტომანქანების გამოფენა მოეწყობა. 5 ოქტომბერს, 20:00 საათზე, ორბელიანის მოედანზე გაიმართება საპატიო თბილისელების დაჯილდოება და გალაკონცერტი — **„მე ვარ თბილისი“.** ღონისძიებაზე სახელოვანი წინაპრების პარალელურად, წარმოჩენილი იქნება ახალი თაობა, როგორც დედაქალაქის წინსვლისა და უკეთესი მომავლის საწინდარი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები და სახელგანთქმული კოლექტივები. წარმოდგენილი იქნება: **„დილის საარი“, მოძრაობის თეატრის კომპოზიცია; ცინუკი დადიანის** კადრები და **ნუკრი კაპანაძე — „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“; „საჰაერო კინტაური“; სოფიკო ჭიაურელი და ნატო მურვანიძე „კინტაური „ხანუმადან“; გიორგი სუხიტაშვილის** გამოსვლა; **ლადო გუდიაშვილის ცეკვა და მოძრაობის თეატრის კომპოზიცია** — „ქართველი მხატვრები“; **კახი კავსაძის ჩანაწერი, ბელა მირიანაშვილის** კადრები. **მიშო ჯავახიშვილი** და **ნანუკა ხუსკივაძე — „ქარი კვლავ არხევს“; ნინო რამიშვილის „ჯეირანი“, „სუხიშვილების“ „დავლური“** და **„ყარაჩოღლური“; გიული ჩოხელი** და **ნოდარიკო ხუციშვილი** — კომპოზიცია **„მოგონებები“; ჭაბუკიანის კადრები და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო დასის ნომერი; ნანული აბესაძე — „შენ, მხოლოდ შენ“; გოგი ალექსიძისა** და **მარიამ ალექსიძის ნომერი** — ერთგვარი ერთობლივი ცეკვა გალაკტიონის **ლექსზე); გოგი დოლიძის კადრები — ეკა მამალაძე** და **მიშო ჯავახიშვილი — „მონატრება“;** კონცერტის დასასრულ კი **ნანი ბრეგვაძე — „მუხამბაზი“** და ფინალური ნომერი, **მიშა მდინარაძის** მუსიკალური კომპოზიცია, რომელსაც ყველა მომღერალი ერთად შეასრულებს.

„თბილისობის“ დასასრულ, 6 ოქტომბერს, 20:00 საათზე, **ევროპის მოედანზე,** დედაქალაქის მერიის მიერ დაფუძნებული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება განუმეორებელი სანახაობა — **„მუარე იქსფირიენს“,** რომელიც წარმოადგენს **აკრობატების საჰაერო შოუს როკ-მუსიკის თანხლებით.**

◎ **გაითვალისწინეთ**

ამბავი მტვრისა...

ადამიანებს, ვისაც მტვერზე ალერგია აქვთ, მასთან შეხებისას ხელების და სახის ქავილი ეწყებათ და თვალები უცრემლიანდებათ. არის შემთხვევები, როცა გაგუდულან კიდეც.

ალერგიის დროს იწყება სისხლძარღვთა შეშუპება, ვიწროვდება ბრონქებს შორის სივრცე, ჟანგბადს უჭირს ფილტვებში შეღწევა.

გარდა ამისა, ბოლო საერთაშორისო კვლევებით ირკვევა, რომ **მტვრის სუნთქვა განსაკუთრებით საზიანოა ფეხმძიმეებისთვის!** აღმოჩნდა, რომ მტვერს უაღრესად უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მომავალი ბავშვის თავის ტვინისა და ფარისებრი ჯირკვლის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაცაა საჭირო მტვერთან დაუნდობელი ბრძოლა.

— ყველაზე მეტი მტვრის ტკიპა ლოგინსა და თეთრეულში ბუდობს. კერძოდ, ორსაწოლიან ცოლქმრულ ლოგინში 300-400 მილიონი „თანამცხოვრები“ ბაქტერია ბინადრობს.

— ასევე ბევრი ტკიპაა მრავალწლიან საოჯახო ბიბლიოთეკაში, ისინი წიგნების მტვერს ანიჭებენ უპირატესობას.

— საყოფაცხოვრებო მტვერი სამოთხჯერ ნაკლებ ტკიპას შეიცავს, მაგრამ ცოტა არც ესაა.

რაც შეეხება ანტიალერგიულ დალაგებას, მას აქვს შემდეგი წესები:

— მისი გაკეთება რეგულარულადაა საჭირო;

— სახლი აუცილებლად სველი ტილოთი უნდა დაწმინდოთ, რათა ჰაერი არ დაიმტვეროს. ხის ავეჯის ზედაპირი ნამიანი ტილოთი უნდა გაიწმინდოს,

ხოლო ნოხები და რბილი ავეჯი სასურველია წყლისფილტრიანი მტვერსასრუტით დამუშავდეს. იგივე წესით უნდა გაიწმინდოს იატაკიც.

— ლოგინში აუცილებლად უნდა გამოიყენოთ ჰიპოალერგიული ზეწარი, რომელიც ტკიპებს თეთრეულში არ ატარებს. ლეიბი კი სასურველია, რეგულარულად დაამუშაოთ ორთქლის გენერატორით.

— ლოგინის თეთრეული ყოველ კვირა უნდა ცვალოთ. საბნები ჰიპერალერგიული შემავსებლით დაატანიანეთ და თეთრეულთან ერთად თვეში ერთხელ გარეცხეთ.

— აკონტროლეთ ოთახში ტენიანობა და საჭიროების შემთხვევაში ჰაერის დამნამავი გამოიყენეთ.

მოამზადა ნინო ალექსიძემ

ბასილაშვილმა ჩინეთის ტურნირი გამარჯვებით დაიწყო

ნიკოლოზ ბასილაშვილმა პეკინის 500-ათასიანი ტურნირის პირველ შეხვედრაში მსოფლიოს 22-ე ჩოგანს, არგენტინელ გვიდო პელას მოუგო და შემდეგ წრეში ბერძენ სტეფანოს ციციპასს შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში სერბი დუშან ლაიოვიჩი სამ სეტში 4:6, 6:3, 6:4 დაამარცხა.

ნიკას პელა ადრეც დაუმარცხებია. შარშან ამერიკის ღია პირველობაზე ქართველმა არგენტინელს ოთხ პარტიაში სძლია, ამჯერად კი ორი სეტიც ეყო, თუმცა, მეორეში გვარიანად გაუჭირდა.

თავიდან მოწინააღმდეგეები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ. ქართველს ბრეიკის შანსი მეხუთე გეიმში გაუჩნდა და გამოიყენა კიდეც. შემდეგ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია და პირველი პარტია 6:4 მოიგო.

მეორე სეტი გაცილებით რთული გამოდგა ქართველისთვის. არგენტინელმა მეოთხე გეიმში ჩვენიანის მოწოდებაც მოიგო, მაგრამ ნიკამ საპასუხო ბრეიკით მალევე გამოასწორა ვითარება.

საბოლოოდ მეორე პარტიის ბედი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა. თავიდან ჩოგბურთელები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ. პირველი მინი-ბრეიკი ბასილაშვილმა შეასრულა და 5:3 დაწინაურდა, იქვე მეორე მინი-ბრეიკიც მიაყოლა და შემდეგ პირველივე მატჩბოლი გამოიყენა. შეხვედრა 1 საათი და 44 წუთი გაგრძელდა და ნიკამ 6:4, 7:6(7:3) მოიგო.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის მოქმედი გამარჯვებული ბასილაშვილია. შარშან ფინალში ნიკამ არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროს მოუგო.

კოგა კოგახიძე

ნოვაკ ჯოკოვიჩმა სუმოში სცადა ბედი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რომელიც ამ კვირას ტოკიოს ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ძალები მოსინჯა სუმოში. სერბი დაესწრო პროფესიონალი სუმოისტების დილის ვარჯიშს, რომლებიც უკვე პენსიაში არიან გასული. ნოვაკმა ასევე რამდენიმე მოძრაობა შეისწავლა.

თავიდან ჯოკოვიჩმა სცადა ერთ-ერთი სუმოისტის ადგილიდან დაძვრა, მაგრამ ჩოგბურთელს ეს არ გამოუვიდა. ამის შემდეგ მებრძოლი მოდუნდა და 32 წლის ჯოკოვიჩმა შეძლო მისი დოჰიოდან გადაყვანა.

„ვგრძნობდი, რომ ოდნავ არ ვარ ფორმაში სუმოსთვის. მჭირდება კიდევ რამდენიმე კილოგრამის მომატება და ბრძოლებისთვის მზად ვიქნები“, — მოჰყავს ჯოკოვიჩის სიტყვები ATP-ის ოფიციალურ გვერდს.

კიევში ტომ კრუზი ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმირ ზელენსკის პირადი მიწვევით, კიევში ცნობილი ამერიკელი მსახიობი ტომ კრუზი ჩავიდა. ვლადიმირ ზელენსკიმ ტომ კრუზს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

შეხვედრის დროს ტომ კრუზმა ვლადიმერ ზელენსკის უთხრა, რომ ახალი კინოპროექტისთვის ლოკაციების შერჩევის პროცესში უკრაინითაა დაინტერესებული.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტი ტომ კრუზს კინოს სფეროში საკუთარ გამოცდილებაზე ესაუბრა. ასევე, ინფორმაცია მიაწოდა უკრაინაში მოქმედი ახალი კანონის შესახებ, რომელიც უცხოელი რეჟისორებისთვის კომპენსაციას ითვალისწინებს, თუ ისინი ფილმს უკრაინაში გადაიღებენ.

მცურავი მზის ელექტროსადგური



გერმანიაში პირველი მცურავი მზის ელექტროსადგური აშენდება. ინოვაციური და უპრეცენდენტო პროექტი ფრანგულ კომპანიას Ciel & Terre ეკუთვნის.

მზის ელექტროსადგური ბადენ-ვიურტემბერგში, ქალაქ რენხენის სიახლოვეს განთავსდება.

ელექტროსადგურზე დაახლოებით 2300 პანელი იქნება დამაგრებული და წელიწადში დაახლოებით 750 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მიღებული ელექტროენერგია ახლომდებარე საწარმოს მოხმარდება.

მშენებლობა, რომელსაც გერმანული კომპანია Erdgas Südwest განახორციელებს, მომავალი წლის თებერვალში დაიწყება და მალევე, ივნისში დასრულდება.

პროექტის ავტორები და დეველოპერები ინფორმაციას ელექტროსადგურის მშენებლობის ღირებულების შესახებ არ ასაჯაროებენ.

ანტარქტიდას 315 მილიარდი ტონა აისბერგი მოსწყდა

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, აისბერგ დი-28-ის ფართობი 1,6 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

„ბიბისის“ ინფორმაციით, ეიმერის შელფური მყინვარიდან წარმოქმნილი აისბერგი საზღვაო ხომალდებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ მისი ადგილმდებარეობის და მიმართულების დასადგენად აისბერგზე უწყვეტი მონიტორინგი მიმდინარეობს.

ეიმერის შელფური მყინვარი ანტარქტიდაზე სიდიდით მესამეა. ბოლოს მსგავსი მასშტაბების აისბერგი ეიმერის შელფურ მყინვარს 50 წლის წინათ მოსწყდა.

„ჩაძირული გემის“ და შენობის სინთეზი

ჩეხეთის დედაქალაქში 135-მეტრიანი შენობის მშენებლობის პროექტს განიხილავენ, რომელიც აშენების შემთხვევაში პრაღაში ყველაზე მაღალი ნაგებობა იქნება. ამის შესახებ ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

დიზაინი მოქანდაკე დავიდ ჩერნის და არქიტექტორ ტომაშ სისარჟს ეკუთვნის. შენობიდან შესაძლებელი იქნება ქალაქის ხედის ხილვა. პროექტის თავისებურება მის დიზაინშია, რადგან „ჩაძირული გემია“ — უფრო კონკრეტულად კი ჩაძირული გემისა და შენობის სინთეზია.

რაც შეეხება შენობის დანიშნულებას, პროექტის მიხედვით, სავარაუდოდ, ის გამოყენებული იქნება საცხოვრებლად, ასევე გაქირავდება ოფისები, განთავსდება მაღაზიებიც. სახურავზე კი იგეგმება ბაღის გაკეთება, რომელიც არა მხოლოდ შენობის მცხოვრებლებისთვის, არამედ ყველა მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9770; ევრო - 3.2515;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6635;
100 რუბლი - 4.5918; თურქული ლირა - 0.5272;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7511;
1000 სომხური დრამი - 6.2516.

ამინდი 2 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge